№ 111 1877—1905 № 111

ხუთშაბათი, 7 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია ამითი აცნობებს თავის ხელის მომწერთ, რომ, ვისაც გაზეთის ფასი მხოლოდ 1 ივლისამდე აქვს შემოტანილი და შემოსატანს ფულს დააგვიანებს, გაზეთი აღარ გაეგზავნება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.

(24—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **გძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 1) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ძნელი მდგომარეობა

იაპონიასთან ომი ახალი დაწყებული იყო...

რუსების უმეტესი ნაწილი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ეს ომი მალე რუსეთის სრულის გამარჯვებით დასრულდებოდა და რუსების მთავარ-სარდალი კუროპატკინი ტოკიოში მოაწერდა ხელს ზავის პირობებს...

მართლაც, პირველის შეხედვით, ყველაფერი ხელს უწყობდა რუსების გამარჯვებას და გაბედულ იაპონიის დამარცხება არ იყო საეჭვო: ევროპაში განთქმული ძლიერი მხედრობა მზად უნდა ყოფილიყო საომრად, ნავთსადგურებში სამხედრო გემები იდგნენ და ფინანსთა მინისტრი ირწმუნებოდა, რომ ნაღდი ფული ომის საჭიროებისთვის ბლომად იყო მოგროვებული ხაზინაში და საზღვარ-გარეთაც ხომ ყველა ენდობოდა რუსეთს და მზად იყვნენ საჭიროების დაგვარად ფულიც ესესხებინათ მისთვის...

სინამდვილემ დაარღვია ეს ტკბილი ოცნება.. მანჯურიაში სასტიკად დამარცხდა რუსეთის ლაშქარი, ზღვაში რუსეთის ფლოტი სრულებით გაანადგურეს იაპონელებმა, და ფული, ომიანობის მთავარი ძარღვი და საშუალება, აღარ გამოდგა საკმაო... მართლაც, არავის ეგონა, რომ ეს ომი ამდენ ხანს გაგრძელდებოდა და ამდენს ფულს მოინდომებდა.

ფულის ნაკლებობის შესავსებად ორი საშუალებაა ცნობილი: ერთია გადასახადების მომატება და მეორე—ფულის სესხება გარეშეთაგან.

პირველი საშუალება არ შეიქმნა გამოსადეგი: ბიუროკრატიულ რეჟიმის ბატონობამ გააღარიბა ხალხი,—შუაგულ რუსეთში ხომ სოფლად შიმშილობა ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული და ამიტომ გადასახადის მომატებას ვერ მოჰყვებოდა სახელმწიფო შემოსავლის მომატება; გაღატაკებული ხალხი ცოტასაც ვერ იხდიდა და მეტის გადახდას ხომ სულაც ვერ მოახერხებდა..

ამიტომ მთავრობამ ისევ სესხს მიმართა. მართლაც, ომიანობის დაწყების შემდეგ რუსეთმა რამდენჯერმე ისესხა ფული შინ და ევროპაშიაც; თან კიდევ ქაღალდის ფულის რაოდენობასაც უმატებდა. გაზეთების ცნობით, ამ სამის კვირის წინად, როდესაც კიდევ 10 მილ. ქაღალდის ფული გამოსცა მთავრობამ, რუსეთში სულ 980 მილიონის ქაღალდის ფული გამოდგა. ქაღალდის ფულის გამოცემა, იმავე გაზეთებში მოყვანილ ცნობით, ვაჭრობა მრეწველობის საჭიროებით არ იყო გამოწვეული, ვინაიდან მხოლოდ ერთის კვირის განმავლობაში სახელმწიფო ბანკის ოპერაციები, რომელსაც ვაჭრ[illegible]ეწველობასთან აქვს კავშირი, კიდევ ერთის მილიონით შემცირდა... ეს ქაღალდის ფული დაიხარჯა ომის სხვადასხვა საჭიროებაზე...

ქაღალდის ფული მთავრობისათვის იგივე თამასუქია და, როგორც კერძო ადამიანის კრედიტს არღვევს მომეტებულ თამასუქების გაცემა, ისევე სახელმწიფოსაც ნდობასა და კრედიტს უკარგავს. ქაღალდის ფულის რაოდენობა არ უნდა იყოს განუსაზღვრელი. ისინი, ვისგანაც საჭიროების დროს ფულს სესხულობს მთავრობა, თვალყურს ადევნებენ ქაღალდის ფულის რაოდენობას და ხშირად იმის დაგვარად ანდობენ ფულს, ან არა...

ახლაც თანდათან უფრო აშკარა ხდება, რომ კიდევ ქაღალდის ფულის გამოცემა აღარ შეიძლება, ვინაიდან ახლავე საზღვარ-გარედ და თვით რუსეთშიაც ეტყობა ყველას, რომ რუსეთის კრედიტი თანდათან ირყევა,—საეჭვო ხდება...

ერთის მხრივ ის ფაქტი, რომ ზოგან სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათაგან ყველას გააქვს თავისი ფული, მეორეს მხრივ ის სიძნელე, რომელიც წინ გადაეღობა უკანასკნელად მთავრობისაგან ფულის სესხებას,—აშკარად ხდის, რომ კიდევ ახალ, მეტის სესხის შოვნა მთავრობისათვის მეტად გასაჭირი იქნება. უკანასკნელად ფულის სასესხებლად ბერლინში მთავრობას ხომ თამასუქების გადაგირავება დასჭირდა. .

ფული კი საჭირო არის, ახლავე საჭირო: ომი არ შეწყვეტილა, ჯარის შენახვას ხარჯები სჭირდება, ახალის მობილიზაციით ხარჯი მატულობს კიდევ, შინაური ამბები აღუნებს ეკონომიურ ცხოვრებას და ამითი ამცირებს ხაზინაში შეტანილ გადასახადის რაოდენობას; გარედ კრედიტი შეირყა, შინ ფული არ არის და ქაღალდის ფულის გამოცემასაც ხომ როდისმე ექმნება უთუოდ თავისი საზღვარი...

რუსეთი ძნელს მდგომარეობაშია ჩაყენებული; სახელმწიფოს არსებობისათვის არის საჭირო ფული, ფული და ფული. არსებულ პირობებში კი ვერც ერთი ფინანსთა მინისტრი, გენიოსიც რომ იყოს, ფულის შოვნას ვერ შესძლებს, ვინაიდან არ შეიძლება ძალით, ბრძანებით გაღარიბებულ ხალხის გამდიდრება ან დაკარგულ ნდობის აღდგენა...

ყველა, ვინც აკვირდება რუსეთის თანამედროვე ცხოვრებას, აშკარად მიხვდება, რომ ქაღალდის ფულის უსაზღვროდ გამოცემით გამოწვეული ,,კრიზისი'' აუცილებელია...

ისტორია გვასწავლის, რომ სადმე თუ გაკოტრებულა სახელმწიფო, ამისი მიზეზი ყოველთვის ყოფილა ის გარემოება, რომ მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა ცხოვრების მოთხოვნილებას, რომ მთავრობას ცხოვრების მიმართულება არ ესმოდა და ვერ ახერხებდა ახალ, სწორ გზაზე დადგომას.

თანამედროვე სახელმწიფო

(თარგმანი რუსულით)

I

იქ, სადაც საკონსტიტუციო წეს-წყობილება შემოდის სახელმწიფოში, მართვა-გამგეობის ყოველი მხარე, ყოველი ნაწილი უნდა განიხილოს კრიტიკულად ადამიანმა.

სასამართლო, სწავლა-განათლების საქმე და სახელმწიფო გადასახადი,—ყველაფერი ახალ პრინციპის მიხედვით უნდა გარდაიქმნას უთუოდ. ეს პრინციპი მოითხოვს, რომ მთავრობის უფლება არ იყოს უსაზღვრო, რომ მის მოქმედებას მიზნად ჰქონდეს, ერთის მხრივ, ადამიანის პირადი თავისუფლება და, მეორეს მხრივ კი—ხალხის სამსახური,—და, აი, სწორედ ამ უკანასკნელ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

რაკი მთავრობა სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხს ემსახურება, ამიტომ ხალხის აზრი და ხალხის სურვილი გვერდში უნდა ამოუდგეს მთავრობას იმისთვის, რომ მთავრობის მოქმედება შეიქმნეს ნაყოფიერი.

სწორედ ამიტომ შემოიღეს ხალხის წარმომადგენლობა სახელმწიფოში.

საკონსტიტუციო სახელმწიფო აღარა ჰგავს ბატონის ციხეს, რომელიც ემუქრება მუდამ გარეშე მცხოვრებლებს. მასში აღარ არის ბასტილია თუ ვერსალი, იგია შენობა, რომელშიაც ყველას ეცხოვრება, რომელშიაც თანდათან უფრო ხშირად მოისმის თანასწორობის დამამყარებელი მოწოდება, სადაც ხალხი თანდათან უფრო მეტის თავისუფლებით ეწყობა და ყურადღებას არ აქცევს სინათლისაგან შეშინებულ ღამურებს.

სახელმწიფო „დასახლებულ“ შენობად გადაიქცა. მაგრამ... აქ რამდენიმე მაგრამი არის და საჭიროა, ერთს მაინც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ადამიანმა.

სახელმწიფო ყველა მის მცხოვრებისთვის თანასწორად ახლო არ არის. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ ხალხის მთელი ნაწილი, სახელმწიფოს რომელიმე მხარე, მხოლოდ გარეგნობითა და შემთხვევით არის დაკავშირებული ამა თუ იმ სახელმწიფოსთან.

და, აი, ამათ შესახებ სიცრუედ უნდა ჩაითვალოს ის, რაც აუცილებელ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია ყველას, როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ხალხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან.

ხალხი საზოგადოდ **თავისად** სთვლის მთავრობას და სახელმწიფოს; აქ ხალხი **თავის** აზრების გამომჟღავნებას ხედავს, **თავის** მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც. ხალხი ამიტომ ამბობს: ჩვენი ხელმწიფე, ჩვენი მინისტრი, ჩვენი ფინანსები, ჩვენი ჯარი, ჩვენი ადგილები აზიისაკენ...

მაგრამ ასეთი კავშირი ნამდვილად არსებობს მხოლოდ ეროვნულ უმეტესობისათვის (ან გაბატონებულ ერისთვის); ამ კავშირს ვერ ჰგრძნობს, ამ კავშირს მოკლებულია სხვა ეროვნების უმცირესობა. და რაკი „უმცირესობას“, შეიძლება, მთელი ერი შეადგენდეს სახელმწიფოში, ამიტომ ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ ეს ერი გარეშესავით სცხოვრობს სახელმწიფოში.

ასეთი მაგალითი თვით საკონსტიტუციო, განვითარებულ, გაუმჯობესებულ სახელმწიფოებშიაც შეგვხვდება,—რაღა ითქმის იმ სახელმწიფოებზე, რომელიც თვითპყრობელობას ვერ ასცილებია და დღესაც განუვითარებლად დარჩენილა?..

II

როდესაც სხვა ეროვნების ხალხი რომელისამე სახელმწიფოს ფარგალში მოხვდება, შეიძლება ადამიანმა პირდაპირ მიაკრას იგი მაგრად სახელმწიფოს ცენტრს, შეიძლება სხვა მხრივაც დაუკავშიროს ამ სახელმწიფოს.

საპოლიტიკო სიბრძნე, ისტორიის მაგალითი და ხალხის ხასიათიც ამა თუ იმ სახეს აძლევს ამ შეკავშირებას.

ჯერ კიდევ მაღლა არის ამართული ძველის დროის ცრუმორწმუნება სახელმწიფოს მთლიანობის შესახებ, რომელიც აუცილებელი და უეჭველი ჰგონიათ. სახელმწიფოს მთლიანობის წინააღმდეგ გამოლაშქრება დიდ ბოროტ-მოქმედებადაც მიაჩნია ზოგიერთს.

როგორც ყოველი მეტაფიზიკური ცნება, ესეც იმონავებს ადამიანის გონებას ადვილად.

იქაც კი, სადაც ადამიანს თავის ძლიერის კრიტიკის საშუალებით საუკუნეთა ცრუმორწმუნოება აუფეთქებია... საფრანგეთში, მაგ., დიდ რევოლუციას შემდეგ სახელმწიფოს მთლიანობა დემოკრატიულ პრინციპთან მჭიდროდ დაკავშირებული ეგონათ. ერთიან დემოკრატიულ სახელმწიფოს იდეალი შეუძლებლად ხდიდა კერძო სურვილების გამომჟღავნებას. ამის შედეგიც ხომ იცის ყველამ: სოლიდარობისა და ერთობის ძველი ფორმები,—პროვინციები, კორპორაციები, ყოველ გვარი შეკავშირება,—დაირღვა, და მათ ადგილას არ შემოსულა ადგილობრივი თვითმართველობა და შეკავშირების თავისუფლებაზე აგებულ სოლიდარ ინტერესების შეჯგუფვა.

კარდინალ რიშელიესა და ჟან-ჟაკ რუსსოს აზრი ერთად უნდოდათ შეერჩინათ შემდეგისათვის და ამნაირად შესდგა ის ცნობილი კომბინაციები რომელთაც ეძახიან „იაკობინელთ რესპუბლიკას“ და „დემოკრატიულ ცეზარიზმს“,—შესდგა და ფეხი მოიკიდა საფრანგეთში და მის გარეშეც შესაფერმა საპოლიტიკო ტრადიციებმაც.

ასეთი იყო თეორია. ცხოვრებაშიაც ნაპოლეონ I ადმინისტრატიული ცენტრალიზაცია უკიდურეს წერტილამდის მივიდა.

ფეხი მოიკიდა სახელმწიფოში ცენტრალიზაციამ, რომელიც სახელმწიფოს მთლიანობისათვის საუკეთესო გარანტიად მიაჩნდათ.

ცენტრალიზაცია საკონსტიტუციო მონარქიისთვისაც აუცილებელი გამოდგა,—ამტკიცებდნენ კიდეც, რომ იგი საჭირო არის. მართლაც, ცენტრალიზაცია მთავრობას ხომ ყოველსავე აღმასრულებელ უფლებას აძლევდა და იქ, სადაც დარღვეული იქნებოდა სახელმწიფოს მთლიანობა, ძნელი იყო მთავრობის პასუხის-მგებლობის შემოღება საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე.

საფრანგეთის რევოლუციის საპოლიტიკო აზრები, ნაპოლეონის ადმინისტრატიული სისტემა, რესტავრაციისა და ივლისის მონარქიის საკონსტიტუციო მოძღვრება,—ყოველ ამან იქონია თავისი გავლენა მთელ ევროპაში.

როგორც ვიცით, საფრანგეთის საპოლიტიკო წყობილების ცალმხრივობა იმ თავითვე არ მოსწონდა ზოგიერთს. ერთის მხრივ, მას ჰკიცხავდნენ რეაქციის მეთაურები, რომელთაც ეჯავრებოდათ ყველაფერი, რასაც, ასე თუ ისე, რევოლუციასთან ჰქონია კავშირი,—მაგრამ, მეორეს მხრივ, ამავე წყობილების წინააღმდეგნი გამოდგნენ ისინიც, ვისაც ადამიანის პირადი თავისუფლება ენატრებოდათ, ვისაც უნდოდა ადგილობრივი თავისუფლება, ვისაც გადამეტებული ცენტრალიზაცია დიდ უბედურად მიაჩნდა საერთოდ. საფრანგეთში **დეცენტრალიზაციის** მომხრეები გამოჩნდნენ, მათი პროგრამა მოითხოვდა ბიუროკრატიულ ზედამხედველობის მოსპობას, ადგილობრივ დაწესებულებათათვის (მაზრა, დეპარტამენტი, პროვინცია) მეტის უფლების მიცემას.

ამბობდნენ: რად გვინდა ცენტრალისტური სახელმწიფო, სადაც სიმდიდრე, გავლენა, მწერლობა, საზოგადო ცხოვრება და პოლიტიკა,—ყველაფერი პარიზშია თავმოყრილი, ძლიერ და ერთიან საფრანგეთთან ერთად გვინდა მის საზღვრებში განვითარებულ და აყვავებულ ადგილობრივ ერთეულების სხვადასხვაობა, გვინდა, რომ საფრანგეთის ყოველი კუთხე თანასწორად აყვავებული იყოს, რომ ყველგან თანასწორად იყოს განვითარებული მრეწველობა და ვაჭრობა, ხელოვნება და საზოგადო ცხოვრება. გაცხოველებულ მოქალაქობრივ ცხოვრების სიკეთე მთელს საფრანგეთს თანასწორად მოეფინოს; გაუმარჯოს ერთიან სახელმწიფოს, მაგრამ პროვინციები ნუ ჩაიკვლება!

ეს მიმართულება ვერაოდეს ვერ განხორციელდა საფრანგეთში, თუმცა დეცენტრალიზაციამაც თანდათან მოიკიდა აქა-იქ ფეხი: ძველ ტრადიციების საერთოდ მოსპობამ ნამეტანად დასცა პროვინციების წინანდელი ტრადიციები. ამასთანავე, ამაოდ სცდილობდნენ ზოგიერთები ადგილობრივ ეროვნებათა ხსენებას—ბურგუნდელებისა, პიკარდიელებისა და ფლამანდელებისას: საფრანგეთისთვის თავი და თავი საქმე იყო ადგილობრივი თვითმართველობა და არა ადგილობრივ მცხოვრებთა ეროვნულ უფლებათა გაბატონება.

და მაინც აქაც გაისმა გამარჯვებულ ცენტრალიზაციისაგან გასრესილ ადგილობრივ ორგანიზმების კვნესა...

სამაგიეროდ, იქ, სადაც წოდებებსა ან კორპორაციებს თავის დასაცველად საკმარისი ძალღონე შესწევდათ, სადაც სახელმწიფოში სხვა ერებიც სცხოვრობდნენ, სადაც სახელმწიფოს რომელიმე მხარე ამ უცხო ეროვნებით იყო დასახლებული,—შედეგიც სხვა უნდა ყოფილიყო უთუოდ.

ერთის მხრივ, ლიბერალობამ მიიღო ადგილობრივ თვითმართველობის პროგრამა. ეს შედეგი უთუოდ უნდა მოჰყოლოდა ინგლისის დაწესებულებათა თაყვანისცემას; მეორეს მხრივ კი გერმანელებისა და ანგლო-საქსების ცხოვრება და ტრადიციები მოითხოვდა იმას, რომ წარმომადგენლობითი წესწყობილება გამაგრებული ყოფილიყო შესაფერ ადგილობრივ თვითმართველობის შემოღებითაც.

ბელგიის კონსტიტუციამ (1831 წ.) თავის მფარველობის ქვეშ რომ მიიღო ადგილობრივი თვითმართველობა, აღმოჩნდა, რომ ამდენ ძალმომრეობის ამტანმა ძველმა ფლანდრიამ ვერ დაივიწყა მაინც თვითმართველობისადმი უწინდელი მიდრეკილება,—ამან ცხადათა და აშკარად დაუმტკიცა ყველას, რომ კონსტიტუციონალიზმი და თვითმართველობა ერთმანეთში მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან.

ეს კავშირი ყველამაც იცნო. მთელი ევროპა თანდათან საკონსტიტუციო გზას დაადგა და თითქმის ყველგან იქმნა შემოღებული საერობო თვითმართველობაც.

ახლა უნდა იკითხოს ადამიანმა: ეს ლიბერალური პროგრამა, რომელიც ზოგან უკვე ცხოვრებაში შემოსულია და ზოგან დღესაც სანეტარო მიუღწეველ რაღმე გადაქცეული,—იქნება თუ არა იმდენად ფართო, რომ სხვადასხვა ეროვნების მოთხოვნილება დასტიოს და სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილიც შეაკავშიროს?

III

ჯერ უნდა გავარკვიოთ, თუ რას შეეხება ხსენებული დაკითხვა.

უნდა ვიცოდეთ, რომ იგი არ შეეხება ეროვნულ საკითხს, როდესაც ერი სცდილობს მიიღოს საკუთარ სახელმწიფოს უფლება, დამოუკიდებელი და განცალკევებული სახელმწიფო შეიქმნეს; აქ საკმარისი არ არის ოლქებრივი თვითმართველობა.

იგი არ შეეხება აგრეთვე ადგილობრივ ინტერესების დაცვას და გაერთიანებულ ერის ნაწილებში წვრილმან სხვადასხვაობის დაცვასაც. ამისთვის საჭიროა უბრალო დეცენტრალიზაცია და თვითმართველობა,—აქ ოლქებრივი პარტიკულიარიზმიც მეტია.

იმ ეროვნებას, რომელიც დიდია, ძლიერის კულტურის პატრონი და შეერთებული, ვერავითარი რეფორმა, ვერავითარი სახელმწიფო პრივილეგია ვერ შეასუსტებს და ვერ მოუსპობს საკუთარ სახელმწიფოს სურვილსა და ოცნებას. ეროვნულ სახელმწიფოს თეორია, რომლის ძა-

ლითაც ყოველ ეროვნებას თავისი სახელმწიფო წესწყობილებაც უნდა ჰქონდეს მინიჭებული, მისალები შექმნილა ყველგან, სადაც ამ თეორიის განსახორციელებლად ეროვნებას საკმარისი ძალ-ღონე შესწევდა.

განა საწყენი არ იქმნებოდა ყველასთვის,—რომ ავსტრიის კუთვნილება იტალიაში იტალიელებს აპენინის ნახევარ კუნძულის გაერთიანება—აღორძინებაზე არ ეფიქრათ და მოეთხოვათ მხოლოდ ავსტრიაში ლიბერალური რეფორმები და კანონმდებლობა? ნორვეგია, რომელიც უწინ დანიის პროვინციად ითვლებოდა, კილის ხელშეკრულობის ძალით, 1814 წ. „გადაეცა“ შვეციას. მანაც არჩია ცალკე სახელმწიფოდ დარჩენა, თუმცა კი შვეციასთან უნიით შეკავშირებული იყო; მაგრამ შვეციას მასზე ბევრად მეტი ძლიერება რომ ჰქონებოდა, ნორვეგიაც იძულებული შეიქმნებოდა შვეციის უბრალო პროვინციად დარჩენილიყო, ვინაიდან „ეროვნულ“ სახელმწიფოს იდეას მხოლოდ მაშინ შეუძლიან მოიკიდოს ფეხი დამონებულ ეროვნებაში, როდესაც საამისოდ ძალთა შესაფერი ურთიერთობა არსებობს, თუმცა ხშირად ეს იდეა თავის თავადაც იტაცებს ადამიანის გულსა და გონებას. ამ ნიადაგზე შემდგარ განხეთქილებას ხშირად ტრაგიკული შედეგი ჰქონია: აჯანყებას მოჰყოლია რეპრესიები; უკმაყოფილების გამომჟღავნებას და აგიტაციას—განსაკუთრებული ზომები და სხ.

ვინ არ იცის, რამდენჯერ უცდია ინგლისის მთავრობას სასტიკი ზომები ირლანდიაში; ყველამ იცის, რომ ირლანდია საკმარისად ძლიერი ვერ გამოდგა ინგლისისაგან ავტონომიის მისაღებად და არც იმდენად სუსტი, რომ ინგლისის დაწესებულებათა კალაპოტში გაჩერებულიყო მორჩილად.

არის ზოგიერთი ეროვნება, რომელიც საკუთარ სახელმწიფო უფლებას მოკლებულია. ეროვნულ სახელმწიფოს შექმნა და ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა ევროპაში, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, ხდებოდა ისე, რომ ერთ ეროვნების დამოუკიდებლობა იწირავდა სხვების თავისუფლებას. პოლონეთის დაღუპვა აუცილებელ საჭიროდ მიაჩნდათ პრუსიის საკეთილდღეოდ.

მადიარების სიძლიერე არ შეიქმნებოდა უზრუნველ-ყოფილი, რომ უნგრეთში მცხოვრებ რუმინებს, გერმანელებსა და სხვებსაც პოლიტიკური ორგანიზაცია მიეღოთ. მაგალითები აუარებელია.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება ხშირად რთულდება და ეროვნულ სურვილების ბუნდოვანის ხასიათით ისტორიულ უფლებათა და ნამდვილ ფაქტების გასაშტერებელ შეუფერებლობით ბნელდება.

დამოკიდებულ ხალხთა მისწრაფება ძალიან ხშირად გადაჭარბებულად გვეჩვენება, მაგრამ იმათ გასამართლებლად, სხვათა შორის, ისიც უნდა ვთქვათ, რომ არსად ისე, როგორც პოლიტიკაში, არ იცვლება ცნება: შესაძლო, განსახორციელებელი...

რაც გუშინ უგუნურ თავხედობად მიაჩნდათ, შეიძლება ხვალ ნამდვილი ფაქტი შეიქმნეს.

უკანასკნელ დროს ეროვნულმა საკითხებმა სახე გამოიცვალა სოციალურ მისწრაფებათა სიმძლავრის გამო. ეს სოციალური და ეროვნული კითხვები თანდათან უერთდება ერთმანეთს, ეროვნული კითხვები ჰკარგავს შინაარსისა და ფორმის რომანტიულ თვისებას, სამაგიეროდ, მეტი ძალა და გავლენა ეძლევა.

სოციალიზმი ხალხის ყველა წრეებში რომ ვრცელდება, ცენტრისაგან განშორების მისწრაფებას რამდენად ასუსტებს, სხვათა შორის, იგი შეიძლება მტერიც იყოს სეპარატიზმისა. ეს აიხსნება იმით, რომ იგი ეჭვის თვალით უყურებს გადაჭარბებულ ეროვნულ გრძნობას და რომ თვით ამ მოძრაობას საერთაშორისო ხასიათი აქვს, რომ მას სხვა სახის სახელმწიფო სჭირია და არა სახელმწიფო, განსაზღვრული ეროვნულ ხასიათის მქონე. ამიტომ სეპარატიზმმა იურიდიულ გარანტიას უნდა დაუთმოს ადგილი, იმ გარანტიას, რომელიც უზრუნველ ჰყოფს სხვადასხვა ნაწილის ინტერესებს ისე, რომ ამით სახელმწიფოს უკვე არსებულ გონიერს და წესიერ ერთიანობას არ არღვევდეს.

IV

საჭიროა გამოირკვეს ურთიერთობა ეროვნებისა, რომელსაც არა აქვს სახელმწიფო უფლება, და იმ სახელმწიფოსი, რომელსაც ეს ეროვნება ეკუთვნის.

ამ ურთიერთობის ფორმა, როგორც ყოველივე პოლიტიკური წყობილება, დამოკიდებულია ხალხის ინტერესებზე, გულის-თქმასა და ცრუმორწმუნოებაზე.

იმ სახელმწიფოს, რომელიც თავისს განაპირა კუთხეების მოწესრიგებას სცდილობს და რომელსაც სურვილი აქვს ანგარიში გაუწიოს თავისს უცხო ტომის ქვეშევრდომების მოთხოვნილებათ, შეუძლია სხვის მაგალითებს მისდიოს და სხვის მაგალითის მიხედვით, ასე თუ ისე, მოაწყოს ოლქების მართვა-გამგეობა.

მხოლოდ ყველაზე ადრე საჭიროა გაბატონების, პირის აკვრისა და მთელის ხალხის ცოცხლად გალიაში ჩამწყვდევის სისტემას თავი დაანებოთ. სახელმწიფო ვერ დაისახავს თავისს საგნად რომელისამე ეროვნულ ცხოვრების სხვადასხვა გამომჟღავნების გაუქმებას ან გაქარწყლებას, რადგანაც ამ მოვლენათა გამოჭრა არ შეიძლება ერთსა და იმავე ზომაზე.

ასეთაც უნდა იყოს უთუოდ, იმ აზრს თუ დავადექით, რომ სახელმწიფოს ყველა ეროვნების ცხოვრება უსათუოდ უნდა დაემორჩილოს ერთსა და იმავე კანონებს პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ და ეროვნულ ცხოვრების სფეროში.

ბატონობისა და ალვირის ადების პრინციპი უნაყოფო გამოჩნდა—მან ვერ გაამართლა ის იმედები, რომელიც მასზე იყო დამყარებული. ეს ყველასათვის ცხადია.

ამგვარად, რაკი საჭიროდ მიგვაჩნია „ერთიანობა“, ე. ი. მკვიდრი კავშირი სახელმწიფოსა და მისს განაპირა კუთხეებს შორის, საჭიროა აგრეთვე ისიც ვთქვათ, რომ ეს ,,ერთიანობა'' არ უნდა იყოს ყოველისფრის ჩამყლაპავი, არამედ შეფარდებული და პირობითი. ამ ერთიანობის საზომად უნდა იყოს კავშირი, რომელიც საჭიროა ერთიანობის დასაცავად სამხედრო ორგანიზაციასა და საერთაშორისო აღებ-მიცემობის საქმეში,—ეს ხომ სახელმწიფოს არსებობის ორი უმთავრესი ნიშანი არის ამჟამად.

ეს არის ყოვლად აუცილებელი და ყველასთვის სავალდებულო მინიმუმი, იმის მინიმუმი, რისი მოთხოვნაც შეუძლიან სახელმწიფოს და რის წინააღმდეგაც ვერ ამოიღებენ ხმას ხალხები, რომელთაც არა აქვთ ,,საკუთარი'' სახელმწიფო უფლება.

ამ ხალხებსაც, თავის მხრით, თავიანთი მინიმუმი აქვთ, იმის მინიმუმი, რისი მიცემაც განახლებულ სახელმწიფოსათვის აუცილებელია და რასაც ისინი დაჟინებით ითხოვენ. ყოველთვის ეს არის, პირველად, განაპირა კუთხეების ცხოვრებასა და ორგანიზაციაში ყველაფრის გამოტოვება, რაც სამხედრო დიქტატურის გამომხატველია; გავრცელება მათზე კონსტიტუციისა და ადგილობრივ თვით-მმართველობის ყოველისავე საერთო უფლებებისა უკლებლივ; ამას გარდა, ადგილობრივ ენების შემოღება სკოლასა, სასამართლოსა და ადმინისტრატიულ დაწესებულებებში.

უამისოდ თავისუფალ წყობილების შემოღება განაპირა ადგილებში საკმარისი არ იქნება. არ არის საჭირო კერპთ თაყვანისმცემლობა ენის წინაშე. მაგრამ ადვილად ასახსნელია იმათი გულუბრყვილობა, ვინც ორისავე ხელით ეჭიდება იმას, რასაც სხვები შეურაცხყოფენ. ადგილობრივ ენებს იმიტომაც უნდა მიენიჭოს უფლება, რომ ესენი არიან ხალხის, მკვიდრთა ენები. ყოველი რეფორმა კეთდება ხალხისათვის, ყოველი თავისუფლება ნიშნავს სახელმწიფოსა და ხალხის დაახლოვებას.

სახელმწიფოსა და განაპირა კუთხეების ჰარმონიულ შეერთების ყოველმა ფორმულამ უნდა გადასწყვიტოს ეს ორი მუხლი, აღიაროს ეს ორი გარანტია გარკვევით.

საქმე ის არის, თუ რამდენად ექნება თვითგამორკვევის უფლება მინიჭებული განაპირა ადგილებს. თანასწორი თვითმართველობა და ენების დევნულობის მოსპობა,—აი ის ხაზი, რომელსაც არ უნდა დასცდეს თვითგამორკვევა. სამხედრო და საერთაშორისო ერთობა (საერთო კონსტიტუციაზე დამყარებული)—აი, ის ხაზი, რომელსაც არ უნდა შეეხოს სახელმწიფოს რომელისამე ნაწილის თვითგამორკვევა...

ამ ორ საზღვარში ავტონომია, შეიძლება, უფრო ვრცელი ან უფრო ვიწრო შეიქმნეს იმის მიხედვით, თუ რამდენად არის განვითარებული სახელმწიფო ან მისი რომელიმე ნაწილი, რამდენად არის მომზადებული იგი ფართო თვითმართველობის მისაღებად, და სხვა.

შემდეგში უნდა განვიხილოთ, თუ რა სახე მიუღია ავტონომიურ წყობილებას სხვადასხვა სახელმწიფოში და როგორ შეკავშირებულა ეს ავტონომიური ნაწილები ორ სახელმწიფოდ.

ზ. ავალიშვილი.

სოციალიზმი და მამულიშვილობა

(ენრიკო ფერრის აზრი).

ის ადამიანი, რომელიც აცხადებს, კაცობრიობის სიყვარული პატრიოტიზმის მოსპობას ნიშნავსო, ვერ მიმხვდარა იმას, რომ ადამიანის გულში ყოველგვარი ალტრუისტული გრძნობები ზრდობს, რომ გვიყვარს ჩვენი ოჯახი, გვიყვარს ჩვენი სოფელი, ჩვენი ერი, კაცობრიობაც.

იტალიაში, საშუალო საუკუნეების განმავლობაში, ვენეციელებს სძულდათ გენუელები, ეომებოდნენ მათ, ხოცავდნენ ომში; ზარუტიელებს ეჯავრებოდათ პიზის მცხოვრებნი. მათთვის იმ დროს რომ ეთქვა ვისმე, თავიანთ სამშობლოს—ვენეციას თუ გენუას, ფლორენციას თუ პიზას გარდა,—მთელს იტალიასაც შეუყვარებდნენ,—ისინი ალბად იტყოდნენ ამაზე, რომ ეს ორი გრძნობა მათ გულში ვერ მოთავსდება ერთად.

მაგრამ თანამედროვე ისტორიამ დაგვიმტკიცა, რომ ორივე ეს გრძნობა კარგად თავსდება ერთად, და იტალია შეერთდა...

ასევეა საქმე, როდესაც ჩვენი სიმპატიები უნდა გადასცილდეს ჩვენს ეროვნებას.

ფრანგებს, შეიძლება, სძულდეთ და ეჯავრებოდეთ იტალიელები, ინგლისელები, გერმანელები, შეიძლება ეომებოდნენ კიდეც ერთმანეთს, თუმცა ნამდვილად საერთო სიყვარულს უნდა შეეერთებინა ყველანი,—რა ვქნათ,—ეს ძველის დროის ნაშთია, ეს გრძნობა, ეს სიძულვილი წარმავალია.

და როგორც დღეს ფლორენციელს უყვარს ფლორენცია და ეს სიყვარული არ აიძულებს შეიძულოს პიზელი ან დანარჩენ იტალიის მცხოვრები, ისე სხვადასხვა ხალხის მამულიშვილობა კაცობრიობის სიყვარულთან ადვილად თავსდება...

მამულიშვილობის დამახინჯებაა ის, რასაც ვიწრო ნაციონალისტობას ეძახიან,—და მხოლოდ ასეთი მამულიშვილობა კაცობრიობის სიყვარულთან ვერ მოდის ერთად. მაგრამ აქ სნეულებისა და ჯანმრთელობის შერიგებას არ ვცდილობთ, ჩვენ გვინდა მხოლოდ საღი ზნეობრივი გრძნობა განვავითაროთ; ის გრძნობა, რომელიც სხვადასხვა რამეში გამოიხატება, გამოიხატება მამულიშვილობასა და სოციალიზმშიაც.

ინტერნაციონალიზმი და მამულიშვილობა ერთმანეთის წინააღმდეგი არ არის, პირიქით, საჭიროა, აუცილებლად არის საჭირო, რომ ორივე ერთად შერჩეს კაცობრიობას.

როგორც ნამეტანი ალტრუისტობა არ ვარგა,—რადგანაც გადამეტებული ალტრუისტობა მხოლოდ შეამოკლებს ადამიანის ცხოვრებას და სხვისთვის უსარგებლოდაც გახდის,—ისე ნამეტანი ინტერნაციონალიზმიც, რომელიც უარჰყოფს ყოველგვარ მამულიშვილობას, „მავნებელი იქმნება“, ვინაიდან იგი ხელს შეუშლის ხალხის ბუნებრივ განვითარებას, ნებას არ მისცემს ხალხებს განავითარონ თავიანთი გონებრივი ნიჭი, რომლის სხვადასხვაობაც კაცობრიობის განვითარებისთვის მეტად სასარგებლოა.

როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ომიანობის დროს? ჩემდათავად, ჩემ სახლს თუ დაეცა ქურდი ან ავაზაკი, თავს დავიცავ, დავიცავ ჩემს ოჯახს,—ასევე ჩემ სამშობლოს, თუ დაეცა გარეშე მტერი მის დასაპყრობად (ესენიც იგივე ავაზაკები არიან), მაშინაც მას დავიცავდი უთუოდ.

მაგრამ თუ ჩემს სამშობლოს ზოგიერთი ვაჟბატონი, რომელიც თავის თავს ,,მთავრობას'' ეძახის, მოისურვებდა ავაზაკივით სხვა ქვეყნის დაპყრობას,—სულ ერთია, თეთრკანიანი იქმნებოდა იგი, შავი თუ ყვითელი,—უარს ვეტყოდი მათ ნებაზე იქითკენ წასვლას.

და დღეს ცოტა თუ არის ამ აზრის კაცი,—ათ წელიწადში, თხუთმეტში, ოცში,—ეს მიმართულება ხალხში ფეხს მოიკიდებს და უმეტესობა მას დაადგება.

აი, მაშინ კაცობრიობის ისტორიაში დადგება... ახალი ხანა.

ენრიკო ფერრი.

* * *

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

5 ივლისი.

კიშინევი, 6 ივლისი. საბჭოს ხმოსნების ხელახლად ამორჩევა დაიწყო.

ოდესა, 5 ივლისი. იუსტიციის მინისტრის მინდობილობით, მოსკოვის საოლქო სასამართლოს გამომძიებელი მოვიდა უკანასკნელ ამბების გამოსარკვევად. „რუსეთის საზოგადოებამ“ ოდესაში დამწვარ გემების „პეტრე“-ს და „პლატონი“-ს მაგიერად საზღვარ-გარედ ორი ახალი გემი შეუკვეთა.

ელისავეტპოლი, 5 ივლისი. იგნატიევმა გუბერნატორის, თავად-აზნაურთა წინამძღოლის და სხვათა თანადასწრებით სოფლის საზოგადოებათა 200 წარმომადგენელს ურჩია, მოთმინებით მოეცადნენ იმ გაუმჯობესებას, რომელსაც მთავრობა მოახდენს, ნუღარ გაამწვავებენ მოძრაობას, რომელიც მხოლოდ აგიტატორთა ზეგავლენის შედეგია, და ურჩია ყველას, რომ მშვიდობიანად მოიქცნენ.

მოსკოვი, 4 ივლისი. მობილიზაცია მოსკოვში მშვიდობიანად მიდის.

მინსკი, 5 ივლისი. იმ კომიტეტმა, რომელსაც აზრად ფლოტის გასაძლიერებლად ფულის შეგროვება ჰქონდა, 119,952 მ. შეაგროვა და მოქმედება შესწყვიტა.

კოვნა, 5 ივლისი. პოლიციამ შეიპყრო იშერ საპირო, რომელსაც პურის მცხობელ ბერმანის მოკვლა ჰბრალდება. ბერმანი იმიტომ მოუკლავთ, რომ გაფიცვაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განუცხადებია.

სიმფეროპოლი, 5 ივლისი. [illegible] საფოსტო კანტორიდან ორი-ათას-რვაასი თუმანი მოუპარავთ. დამნაშავე დატუსაღებულია.

მოსკოვი, 5 ივლისი. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, კულიკოვსკი ნაცემბირალის შვილი ყოფილა. კულიკოვსკი 34 წლისაა და სამასწავლებლო სემინარია გაუთავებია.

ვარშავა, 5 ივლისი. გუშინ, საღამოს ათს საათზე, სასიკვდილოდ დასჭრეს უბნის ზედამხედველი გლემბიოვსკი. დამნაშავენი დაიმალნენ.

პარიზი. მცოდნე წრეებში არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ ვიტტეს და რუვიეს მომავალ შეხვედრას, რადგანაც ვიტტეს სპეციალური მინდობილება არა აქვს.—რუსის ნაღმიანი გემები ფერორიდან ლიბავაში წავიდნენ.—პრინცი არისუგავა გენუაში მივიდა და ხვალ იაპონიისკენ გაემგზავრება.

პეტერბურგი, 5 ივლისი. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ რუსეთ-საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულობის გადამსინჯველ კომისიას პირველი კრება 4 ივლისს ჰქონდა. ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა ტიმირიაზევმა მოკლე სიტყვით მიჰმართა საფრანგეთის ელჩს, რომელმაც საპასუხო სიტყვა სთქვა. ამის შემდეგ კომისია ხელშეკრულობის განხილვას შეუდგა.

იმ ხმების გამო, ვითომც შორეულ-აღმოსავლეთიდან მომავალ ბარგის ვაგონში, წითელის ჯვრის სახელობაზე, ყუთით ერთი მილიონი მანეთი ეგზავნათ, წითელი ჯვრის მთავარი სამმართველო სამარის გუბერნატორსა და ადგილობრივ რწმუნებულს შეეკითხა, რაზედაც პასუხად მიიღო, რომ ეს ამბავი მოგონილიაო.

როგორც „ნოვოე ვრემია“ ატყობინებს, უმავთულო ტელეგრაფის ცდამ ნაყოფი გამოიღო. მარკონის აპარატის მეოხებით პეტერბურგისა და ვიშნივოლოჩოკის შუა, 340 ვერსის მანძილზე, შეიძლება ამბავი გადაეცეს. ასეთი სისტემის სადგურები, ხოლო უფრო მეტის ძალის, შორეულ-აღმოსავლეთში ბრძოლის ველზე გაიგზავნება.—ზღვათა მთავარი შტაბი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გაზეთებში მოხსენებული ამბავი, ვითომც ჯავშნოსანს „ალექსანდრე II“-ზე და კრეისერ „მინინ“-ზე ამბოხება ყოფილიყოს, უსაფუძვლოაო. ამ გემებზე არავითარი უწესოება არ მომხდარაო.

ლოძი, 5 ივლისი. „ლოძის ფურცელი“ იუწყება, რომ, რაც უმაღლესის ბრძანებით სარწმუნოების თავისუფლება გამოცხადდა, ლოძში 130 მართლ-მადიდებელი კათოლიკობაზე გადავიდაო.

კიევი, 5 ივლისი. ღამე, შუაგულ ქალაქში, კრეშჩატიკის ქუჩაზე, ქვაფენილზე ბუმბარა იპოვნეს. ბუმბარა, როგორც სჩანს, არტილერიისაა. იგი არსენალში გადასცეს შესამოწმებლად.

მოსკოვი, 5 ივლისი. 5,000 სტუდენტიდან მხოლოდ 150-მა მისცა თხოვნა მიღებაზე. ამ საქმის გადასაწყვეტად, როგორც ხმა დადის, სტუდენტები კრებას გამართავენ.

ბრძოლის ველიდან სამი ათეული და 193 ჯარისკაცი მოვიდა.

დღეს, პოდოლსკის მახლობლად, კურსკის ლიანდაგზე, გაქანებულ მატარებლიდან კონდუქტორმა გადმოაგდო ჯარის-კაცი, რომელსაც არც ბილეთი ჰქონდა და არც ფული. ჯარის-კაცი მატარებელმა გასრისა.

სევასტოპოლი, 5 ივლისი. ,,პოტემკინ''-ის გაჩხრეკის დროს, უფროსის კაიუტაში, ერთი მეზღვაურის ბარათი იპოვნეს, განზრახულ აჯანყების შესახებ. ბარათში უმთავრეს მეამბოხეთა გვარებია მოყვანილი. ბარათი აჯანყებამდე ორის თვის წინ არის დაწერილი.

,,კრიმსკი ვესტნიკში'' მთავარ-კომანდირის ბრძანებაა დაბეჭდილი: სამის დღით დაპატიმრდეს ცენზორი, რომელმაც სატახტო ქალაქის გაზეთებიდან არა სარწმუნო ცნობები გადმობეჭდვინაო.

ფელეტონი

მაშ საით?

ხელში კალამი გიცივდება. ელვის სისწრაფით ფიქრები ერთი-მეორეს მისდევენ, თვალები შორს, სადღაც შორს გაიყურებიან, აქ ოთახი კი არა, ქუჩაა, ქუჩა მთელის თავისის საშინელებით.

დიაღ, ფერმკრთალია და სუსტი ყოველი კალამი! გადი ქუჩაზე და ისწავლე, როგორ სწერს თვით ცხოვრება, გადი ქუჩაზე იმისთვის კი არა, რომ სწერო, არამედ იმისთვის, რომ გაცოცხლდე, ჩაეწერო ცხოვრებაში.

მაშინ და მხოლოდ მაშინ გაიგებ, რა არის მწერლობა და რა არის სინამდვილე—ცხოვრება.

მსახიობი ხარ შენ?

მაშ დაისვენე, დაკეცე დეკორაცია, ჩამოუშვი ფარდა. მეტია შენი კუნტრუში, მეტია შენი თეატრი, მეტია შენი ხელოვნება. ცხოვრებამ აიხადა ფარდა და იქ, ხელოვნურად მორთულს, ხელოვნურად შეკოწიწებულს ტყეს, მინდორს, მთას, სოფელს, ქალაქს კი არა ვხედავთ, როგორც სცენაზე,—არა, ჩვენ ვხედავთ ნამდვილს ტყეს, თავისის მხეცებითა, ნამდვილს მინდორს, სადაც ერთი სთესავს და მეორე კი იმკის, ნამდვილს სოფელს ნამდვილის გლახებით, ნამდვილს ქალაქს გლახებით და მტარვალებით!

სუსტია და სასაცილო შენი ტრაგიკული როლი—თეატრში, სცენაზე, შენი ხელების ფათური, გულის ღელვა, ტირილი ყალბის ცრემლებით, სიკვდილი ყალბის სიკვდილით. დიაღ, სუსტია და სასაცილო!

იქნება კომედიანტი ხარ? გრცხვენოდეს, რა დროს პრანჭვა-გრეხა და მაიმუნობაა!

მაყურებელი ხარ?

სირცხვილი შენს ადამიანობას, შენს გულგრილობას! შენ ამ ქვეყანადაც მხოლოდ ბილეთით გაჩნდებოდი, ბილეთით შემოხვიდოდი, როგორც თეატრში. მაგ გულის მაგიერ ჩაიდე, აგერ, ის სისხლ-შემხმარი ქუჩის ქვა,—გარწმუნებ, ის უფრო მეტად დაფარავს მკერდს, ვიდრე ეგ ძონძი, მაგ. უსულო ხორცს, რომელიც შენ გული გგონია!

მხატვარი ხარ?

დახატე მიჯაჭვული ამირანი, ამაყი, ღმერთების ურჩი, ღმერთებისგან დასჯილი. დაასივე ყორნები, ატირე ფოლადის ცრემლებით, მაგრამ გაიხედე ქუჩაზე! იქ ტილოზე კი არა, არამედ თვით ცხოვრების გულზე იხატება ყოველივე ეს მთელის თავის სინამდვილით. გაიხედე და შეგრცხვება! შერცხვება შენს სურათს, შენს ხელოვნებას!

შესდექ მხატვარო, ჯერ ადამიანი იყავ, მერე მხატვარი!

მომღერალი ხარ? ტკბილ ჰანგებს შენსას
მოშხამავს გლოვის ხმა სამწუხარო,
სევდიან ღიღინს ჩაჩრდილავს ქუჩის
საშინელება და ცრემლის წყარო.
ჰოი, სიმღერავ, გმირთა სიმღერავ,
ნახევი არის ეგ შენი კილო,
სევდა, სიგმირე, შეუპოვრობა
იქ გადაგიბამს, ცხოვრების შვილო!

—

ან ტკბილად როდის დაგიმღერია,—
მონა და მისი ტკბილი ღიღინი?!
მას თან მოჰყვება გულ-ჩასაკუწი,
მწარე სიცილი, მწარე სიცილი.

—

არა, დე, გულში ჩავუბებული
და ჩამწყვდეული ამოვარდეს ხმა,
დაუგდოს ყური ათრთოლებულმა
კაენ-იუდამ, მტარვალ-უკმეხმა!

—

დაუგდოს ყური და გაინაბოს,
ათრთოლდეს იმის საშინელ ხმაზე
და შენც, მგოსანო, თუ გსურს იმღერო,
მხოლოდ ქუჩაზე, მხოლოდ ქუჩაზე!..

—

დიაღ, ტკბილია თბილი, მყუდრო კაბინეტი. კარგია ოცნება, ოცნებით წერა. უხიფათოა სცენაზე მახვილის წინ მდგარი ბრძოლა. კარგია და ლამაზი ტილოზე მიმაგრებული ამირანი. აღმაფრთოვანებელია სიმღერა მომღერალისა. ამაზვირთებელია სიტყვები მგოსნისა, მაგრამ ამაოა აწ ყველაფერი, ლანდია იგი სინამდვილისა.

ქუჩა სცენაა უსაშინელესის დრამისა, ქუჩაა მხატვარი: იქა თრთის გული ნამდვილის ამირანისა. ქუჩაა მომღერალი, იქ გაჰმუღლა ცხოვრების სიმები; ქუჩაა მგოსანი შეუდარებელი: იქ წითელ ტალღებში დაკოდილ-განგმირულ გულზე იქარგება თაიგული გაზაფხულისა... წითელ შარავანდედში ამოდის სხივი სიმართლისა...

მაშ, საით?...

ი. ევდოშვილი.

* * *

სეირნობა

(ამბავი)

ქალაქის ერთ-ერთ სამხიარულო რესტორანს არა-ჩვეულებრივი ელფერი მიეღო.

რესტორანის ვიწრო კარების წინ ეტლი ეტლზე ჩერდებოდა და გასათხოვარი ქალები თეთრს კაბებში და გათხოვილნი სხვადასხვა ფერად ძვირფასად გამოწყობილნი, ჩქარის ნაბიჯით ბაღში შედიოდნენ. თავ-ჩაღუნული, მოღუშულის სახით მისდევდნენ მათ უკან მამაკაცები და დრო-გამოშვებით შიშით აქეთ-იქით იყურებოდნენ.

შესავალ კარების აქეთ-იქით გაკრული იყო დიდი ფერადი აფიშები, სადაც მსხვილი ასოებით ეწერა: **სეირნობა და ბაზარი.** შესავალში უშველებელი ფარანი ეკიდა და ორი პოლიციელი იდგა.

ყველამ კარგად იცოდა, რომ ამ რესტორანში სცენაა გამართული, აქ ცეკვავენ და მღერიან ცუდი ყოფა-ქცევის ქალები, რომ იქ ყოველ-ღამ დადის ხალხი ვახშმის საჭმელად, გასართობად და მთელი ღამე დროს ამგვარ ქალების საზოგადოებაში ატარებენ.

და, აი, ამ ბაღში, სადაც მრავალი საზიზღრობა და ბოროტება ხდება, სადაც უეჭველად „ისინიც“ იქმნებიან, უნდა გაიმართოს სეირნობა, რომელსაც ყოველ წლივ ქალაქის დიდი საზოგადოება ესწრება.

ამ გარემოებას ვერ შერიგებოდნენ ვერც ის ყმაწვილი ქალები, რომელნიც დანიშნული იყვნენ სხვადასხვა ავეჯეულობის და მომგებიან ბილეთების გასასყიდად, და ვერც ამ ბაღის მუდმივი სტუმარი—ქმრები, მამები, ძმები და სხვა.

ბაღი სხვადასხვა ფეროვან ფარნებით იყო განათებული, ორ ადგილას სამხედრო მუსიკა უკრავდა. იქვე, შესავალში, მაგიდასთან იჯდა სამი ქალი, წინ ელაგათ ბილეთების წიგნი და ფულის პატარა ყუთი. დარცხვენით და ერთი-ერთმანეთში დაუსრულებელის კამათით, ერთი მათგანი ბილეთებს უხერხულად სჭრიდა, მეორე მყიდველს ხელში აწვდიდა, მესამე არეულ-დარეულის ანგარიშით ხურდას იძლეოდა.

ბაღში ხალხს ბლომად მოეყარა თავი.

ზაფხულის ღამე იყო. ცხელოდა. ჰაერი გაჩერებულიყო. ადამიანს სუნთქვა უძნელდებოდა.

სხვადასხვა კუთხეებში, რამდენსამე ალაგას, გამართული იყო მაგიდები: ზოგი მომგებიან ბილეთებით, ზოგი იაფ-ფასიან წიგნებით, ზოგი კანფეტებით და სხვადასხვა ტკბილეულობით, ზოგიც მოსაგებ ავეჯეულობით.

მაგიდებს უსხდნენ ორ-ორი, სამ-სამი თეთრკაბიანი გასათხოვარი ქალი და სეირნობის დაწყებას უცდიდნენ.

თეთრ-სუფრა გადაფარებული მრავალის მაგიდებითა და სკამებით მოწყობილის რესტორანის დარბაზი და სცენა ცარიელი იყო. ხოლო ლაქიები, თეთრის ხელთათმანებით, მედიდურად დადიოდნენ ცარიელ მაგიდებს შუა და არა ჩვეულებრივს მოსეირნეთ გულ-გრილად უყურებდნენ.

მოსეირნეთ დაკრთომა და უხერხულობა ეტყობოდათ. ყველას შიში გაუმართლდა. „ისინი“ ბაღში ბლომად სჩანდნენ და, სხვებთან ერთად არეული, ბაღის ბილიკებზე მიდი-მოდიოდნენ. როგორც მათ, ისინიც ყველას თავიდან ფეხებამდის ათვალიერებდნენ. მათი გარჩევა ადვილი იყო, დიდის, ფერად შლაპებითა, ძვირფასს კაბებითა და ბრჭყვიალა სამკაულით მორთულნი, მოწყენილის სახითა და მოშვებულის სიარულით დადიოდნენ.

ეს უკანასკნელი გარემოება მოსეირნეთ, ცოტა არ იყოს, აკვირვებდა. ყველას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ისინი პრანჭვა-გრეხით დაიწყებდნენ სირბილს, ხმა-მაღალ სიცილს, უწმაწურ სიტყვებით ლაპარაკს და ყველას გაკილვას. ამის მაგივრად, ისინი მოწყენილნი იყვნენ და მოსეირნე ქალსა და კაცს მაღლიდან დაჰყურებდნენ, თითქოს ვერ ამჩნევდნენ.

„ეს ხომ ის მამაკაცები არიან, რომელნიც ყოველ დღე ბაღში ჰყრიან, თავს აბეზრებენ, აცივდებიან და ათასნაირად თავს იმცირებენ, რომ მათ სახეზე ღიმილი მაინც გამოიწვიონ! ქალები? ეს ის ქალები არ არიან, რომელთაც გაურბიან ეს მამაკაცები და თავისუფალს დროს ჯიბეს, გულს, თავის არსებას მათ სწირავენ, ფეხ-ქვეშ უგებენ?! მაშ რაღ უნდა მოვიხაროთ თავი და ჩვენი არარაობა რად უნდა ვაღიაროთ?“—ამბობდა მათი ყოველი მიმოხვრა, სიარული და სახის გამომეტყველება.

ქალები მამაკაცების ლაპარაკსა და ნაძალადევ ოხუნჯობას ყურს არ უგდებდნენ, მალულად თვალს ადევნებდნენ „იმათ“ და, ცნობის მოყვარეობით გატაცებულნი, სცდილობდნენ შეემჩნიათ და თავის თვალით დარწმუნებულიყვნენ ყველა იმაში, რაც კი გაეგონათ ქმრებისა, ძმებისა და დაახლოვებულ ნაცნობებისაგან.

თუმცა „ისინი“ კარგად იქცეოდნენ და, როგორც ეტყობოდათ, არავისთან დალაპარაკების სურვილი არ ჰქონდათ, მაგრამ მამაკაცებიც ვერ იყვნენ კარგ გუნებაზე. ყოველის გზით სცდილობდნენ, თვალით არ შეხვედროდნენ „იმათ“, გზას უხვევდნენ და თანაც ეშინოდათ, ეს „მათთვის“ არ ეგრძნობინებინათ; ოდნავ თავის დაკვრით სალამს აძლევდნენ, ერთს-ორს სიტყვას ესროდნენ ხოლმე და თან აქეთ-იქით იხედებოდნენ, რომ რომელსამე ნაცნობს ქალს არ დაენახა.

ხალხი თანდათან ემატებოდა. დრო მიდიოდა. მოსეირნენი, ცოტა არ იყოს, ერთმანეთს შეეჩვივნენ. უხერხულობა გაჰქრა და საქმე დაიწყო.

ყოველ სეირნობაზე, რომელიც იმართება ბაზრით და საქველმოქმედო მიზნით, საქმე ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა. მიზანი მხოლოდ ერთია,—რაც შეიძლება, მეტად დააცალიერონ ჯიბეები მამაკაცებისა, რისთვისაც ყოველ მაგიდას მიჩენილი ჰყავს ორ-ორ-სამ-სამი, რაც შეიძლება, ლამაზი ქალი, და ეს „ტურფა ხუნხუზები“ დავალებულს საქმეს საოცრად ასრულებენ, მომხიბლავის ღიმილით დაგოგმანებენ მოსეირნენთა შორის, ატყვევებენ მამაკაცებს და მაგიდებისკენ მიათრევენ.

— იყიდეთ ბილეთები, იყიდეთ წიგნები, იყიდეთ კამფეტები!

მამაკაცი ნაძალადევად იღიმება და სრულის მორ-

სიმფეროპოლი, 5 ივლისი. ფეოდოსიაში სამხედრო წესები გააუქმეს.

მოსკოვი, 5 ივლისი. ბირჟის წარმომადგენელთა კრება გენერალ-გუბერნატორმა დღეს დახურა, რადგან დაინახა, რომ კრება განსაზღვრულს წრეს გადასცდა. კრებაზე, რომელშიაც 36 დაწესებულების 50 წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, განხეთქილებამ იჩინა თავი. სამრეწველო ცენტრის რაიონის წარმომადგენელნი კონსერვატიულ ჯგუფად გამოცალკევდნენ. საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე ნაიდიონოვი საგანგებოდ პეტერბურგს გაიწვიეს. გამოძიება გრაფ შუვალოვის მკვლელობისა დასრულდა. მკვლელი, კულიკოვსკი, სამხედრო სამართალში მისცემენ. დღეს ნაფიცი ვექილი სტრანნიკოვი წაიკითხავს მოხსენებას „რუსეთის კანონმდებლობა და ცხოვრება". მოხსენება ივანოვო-ვოზნესენსკის გაფიცვას ეხება. ქალაქის კომისიას, რომელსაც ტრეტიაკოვსკის თავშესაფარის მოწყობა აქვს დავალებული, სადაც მხატვართა ქვრივ-ობოლი უნდა მოათავსონ, დაუდგენია: თავშესაფარში მხოლოდ იმ მხატვართა ქვრივ-ობლებს მიიღებენ, რომელთაც სამხატვრო სასწავლებელი გაუთავებიათ, ან თავისი ნაწარმოები გამოფენაზე სადმე წარუდგენიათ. დამზადებულს შაქარს ფუთზე კიდევ ერთი აბაზი მოუმატეს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონელები კამჩატკაზე. სან-ფრანცისკოდან „კენიგსბერგის გაზეთს" ატყობინებენ, რომ იაპონელებმა კამჩატკაზე მეორედ მიიტანეს იერიში, მაგრამ უნაყოფოდ. იაპონელ რაზმის ერთი ნაწილი კამჩატკის სათევზაო ადგილების ხელში ჩაგდებასა ცდილობდა, მაგრამ რუსებმა მოიმწყვდიეს, შეიპყრეს და სულ დახერიტესო.

რუსეთის ფლოტი აველანის ხელში. „სლოვო" ამბობს: რუსეთის საზღვაო სამინისტროს არაოდეს არ დარჩენია ისეთი უხვი მემკვიდრეობა, როგორიც აველანმა ჩაიბარა 1903 წ. 10 მარტს, ტირტოვის გარდაცვალების მერე. სიებში ადმირალთა რიცხვი ათეულობით იყო აღნიშნული, შტაბ-აფიცრებისა—ასეულებით, ჯავშნოსნები—ათობით, სხვადასხვა ტიპის გემები—ასობით. მაგრამ ფლოტი კი არსად სჩანდა. ზღვის კიდეთა სიმაგრეებს იარაღი არა ჰქონდა. პორტ-არტურს კანონით განსაზღვრული სასროლი მასალაც არ მოეპოვებოდა, რასაც მოწყალებასავით სთხოვდა ხოლმე ალექსეევი ტირტოვს.

ჩინეთიც ხმას იღებს. შანჰაიდან იუწყებიან, რომ თითქმის ყველა ადგილობრივი ჩინური და უცხოელთა გაზეთები მხარს უჭერენ ჩინეთის მოთხოვნილებას. ჩინეთი თხოულობს, რომ ვაშინგტონის მომავალ საზავო კონფერენციაზე მისი წარმომადგენელიც დაესწროს. იაპონია ურჩობს: მანჯურიაში და კორეაში მე დავიწყე მოქმედება და მევე დავაბოლოვებო. მეორეც, ჩინეთის გარევა საქმეში რუსეთის დიპლომატიურს მოთხოვნილებას დაარღვევსო. ჩინეთმა საფრანგეთის მთავრობას მიმართა, მიშუამდგომლე, რომ მანჯურიის დაბრუნება შესაფერის საბუთებით იყოს განმტკიცებული იაპონიისა და რუსეთის მხრივაო.

ვაშინგტონში ჩინეთი მაინც ჰგზავნის თავისს ვიცე-პრეზიდენტს—ვაივუბუ ვუტინგფანს.

იაპონიამ ახალი გემი შეიძინა. იაპონიამ ამ ცოტა ხანში იყიდა ახალი გემი „ლაკრომა", რომლის წყალთა-რწყვა 4,000 ტონას უდრის. ეს გემი რუსეთს შეუკვეთნია და ოდესიდან ვლადივოსტოკისათვის რკინის გზის მასალით დატვირთული უნდა მოსულიყო. „ლაკრომა" 5 მაისს მართლაც სინგაპურს მივიდა. ცუსიმის კუნძულთან ფლოტის დამარცხების მერე, რუსეთი დარწმუნდა, რომ „ლაკრომა" დანიშნულ ადგილამდე ველარ მიაღწევს და მის მიღებაზე უარი განაცხადა. გემი სინგაპურში დაცალეს. იაპონიის მთავრობამ ასეთი შემთხვევით ისარგებლა, რადგან ტვირთ-საზიდი გემი ესაჭიროებოდა, გემის უფროსი კობეში მიიხმო და ფასზე მოურიგდა.

რა ღირს კუნძული კაბაფუტო (სახალინი)? ამერიკელთა ანგარიშით, კუნძული კაბაფუტო, სულ უკანასკნელი, 20—30 მილიარდ მანათად მაინცა ღირს თურმე.

რა მოჰყვება სახალინის დაპყრობას? ინგლისურ გაზეთ „გლობ"-ს აზრით, ადვილად შესაძლებელია, რომ სახალინის დაპყრობამ უფრო მეტად დასწვას გული რუსეთის ხალხსა, ვიდრე დღემდე წაგებულმა ომებმა. არც გასაკვირველი იქმნება, რადგან ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც რუსეთს საკუთარ მიწა-წყალს ჩამოაცლის იაპონია. ხოლო ის გარემოება, რომ იაპონიამ უკანასკნელის გამარჯვებით ასე სწრაფად ისარგებლა და სახალინს მალე წაატანა ხელი, გაზეთის აზრით, პეტერბურგის მთავრობას საგონებელში ჩააგდებს და ზავის ჩამოგდებას დააჩქარებინებსო. ეხლა ხომ სახალინიც ხელიდან გამოეცალა რუსეთს და რაც უფრო დააგვიანებს ზავის ჩამოგდებას მით უფრო ხელს შეუწყობს იაპონიას სხვა ადგილების დასაპყრობადაც და მშვიდობიანობის გამოსყიდვაც უფრო ძვირად დაუჯდებაო.

ახალი ამბავი

გაზეთ „მშაკ" ქალაქ გუმბრიდან ატყობინებენ: აქაურ ახალგაზრდათა ერთს ჯგუფს აზრადა აქვს, დააარსოს ისეთი ამხანაგობა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სამეურნეო ცოდნის გავრცელებას. ამ ჯგუფს დაუდგენია აქციებით ფული შეაგროვოს და მოქმედება დაიწყოს.

◆ 5 ივლისს არქიმანდრიტი **მესროპი წარუდგა კავკასიის ნამესტნიკს** და ნახიჩევანის მაზრაში თავის თვალით ნახული ამბები მოახსენა (მშაკ).

◆ ტყიბულიდან გვწერენ: ოთხ ივლისს ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროში **ლოდიდან მოწყდარი ქვა მოხვდა ერთ მუშათაგანს, 19—20 წლისას, და იქვე სული გააფრთხობინაო.**

◆ 16 ივლისს, ნამესტნიკის სასახლეში, ნამესტნიკის საბჭოს **ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ კრება ექმნება.** თავმჯდომარედ იქმნება თვით ნამესტნიკი. ამ რეფორმას დაწვრილებით შეიმუშავებენ გუბერნიებსა და მაზრებში შემდგარი კომისიები, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მსხვილი მემამულეებისა, ხაზინისა და საუფლისწულო უწყების წარმომადგენელნი. ამ საკითხის შემუშავება გათავდება ენკენისთვის შუა რიცხვებში.

◆ ტფილისის გუბერნის **ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების** კრების გაგრძელება მოხდება კვირას, 10 ივნისს.

◆ ტფილისელ ქალთა თაოსნობით, **ტფილისში დაარსდა ლაზარეთი,** სადაც ომში დაჭრილ კავკასიელებს იღებენ. ამჟამად ამ ლაზარეთში 21 კაცი წევს.

◆ ქალაქის განსაკუთრებულმა სადამფასებლო კომისიამ დაადგინა: ეთხოვოს კავკასიის ნამესტნიკს, რომ კავკასიის სამხედრო ოლქის დაწესებულებამ, რომელიც ბარიათინსკის ქუჩაზე იმყოფება, ქალაქის კასსაში შემოიტანოს 300 **ათასი მანათი სადამფასებლო გადასახადი.**

◆ როგორც გუშინ ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, ნამესტნიკის განკარგულებით, გორისა და დუშეთის მაზრებში გლეხების დასამშვიდებლად მიემგზავრება თავ. ი. გ. ამილახვარი, ხოლო კახეთში თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე. როგორც „კავკაზი" გადმოგვცემს, ამათ უნდა აუხსნან გლეხებს, მათი დანაშაული და გამოუცხადონ, რომ სასჯელი არ ასცილდებათ. რაც შეეხება გლეხების კანონიერ მოთხოვნილებათ, მთავრობა დაუყოვნებლივ საჭირო საშუალებებს მიიღებს მათ დასაკმაყოფილებლად. ზემოხსენებულს გენერლებს ნამესტნიკმა ნება მისცა ის აგიტატორები, რომლებიც სოფლის საზოგადოებას არ ეკუთვნიან, სამ თვემდე დაატუსაღონ; მათ შეუძლიათ, აგრეთვე, თუ საჭიროება მოითხოვს, დაკეტონ სოფლების დუქნები, ჩააყენონ ეგზეკუციები და მაზრებში ჩაყენებული ჯარები ერთი ადგილიდან მეორეზე გადიყვანონ. გენერლებს თან ახლდებათ ცხენოსან ჯარის თითო ესკადრონი.

◆ კავკასიის ნამესტნიკის საგანგებო საქმეთა მინდობილების მოხელე უგ. თავ. პ. ა. **გრუზინსკი გაიგზავნა ბორჩალოს მაზრაში** ადგილობრივ თათართა და გერმანელ კოლონისტების მოსარიგებლად.

◆ კახელ მევენახეთა ამხანაგობის ზოგიერთმა მუშამ ხელახლა **მუშაობა დაიწყეს.**

◆ უსახლო საზოგადოების გამგეობას ქალაქმა ნება დართო აველაბარის **ტრამვაის ლიანდაგი** ციციანოვის აღმართზე გაიყვანოს.

◆ გაზეთ „ჩერნ. ვესტნ."-ის სიტყვით, აზნაურის ქალს ნ. პ. გურსკაიას ნამესტნიკმა ნება დართო ქალ. ბათუმში რუსულ ენაზე გამოსცეს **ყოველდღიური გაზეთი, სახელად „ბათომი".** პასუხის-მგებელ რედაქტორად დამტკიცებულია თვით გამომცემელი ქ-ნი გურსკაია.

◆ **ქალაქის გამგეობამ დაადგინა:** ყველა დაწესებულებათ, სახელმწიფოთაც კი, რომელთაც წყლის ფული არ შემოაქვთ, წინადადება მიეცეთ ერთის კვირის განმავლობაში შემოიტანონ ეს გადასახადი.

◆ როგორც გვატყობინებენ, 27 ივნისს, სოხუმში ქალაქის არჩევნების დროს **ქალაქის მოურავად აურჩევიათ თავ. ნ. ყ. თავდგირიძე.** (24 ხმის უმეტესობით 9 წინააღმდეგ).

◆ **შორაპნის მაზრის უფროსი, პოდპოლკოვნიკი თავ.** ლეონიძე გადაუყვანიათ მე-14 გრენადერის გრუზინსკის პოლკში.

◆ გუშინ, 6 ივლისს, **სამხედრო სამკურნალო ლაბორატორიაში** გასინჯეს ის ფილტრები, რომლებიც ულუხანლ-ჯულფის რკინის გზაზე უნდა გაიგზავნოს. ფილტრები მოიწონეს.

◆ ქალაქის სამოსწავლო ნაწილის კომისიამ **ნაძალადევისა და ნავთლუღის ახლად დაარსებულ სკოლების გამგეებად დანიშნა** ქ.ქ. კანდაუროვისა და გახვახიშვილისა. თანაშემწეებად-კი ქ.ქ. მაზი, ნათლოიშვილისა და ჩიმშკიანი.

◆ დ. მანგლისში **დაუტუსაღებიათ ქალაქ შუშის მცხოვრები, სომეხი ბაბაევი,** რომელსაც კარგა ხანია, პოლიციის ყურადღება მიუქცევია. გაჩხრეკის დროს ბაბაევს აღმოჩენია სახაზინო რევოლვერი და მრავალი პატრონი.

◆ ორშაბათს, 4 ივლისს, ტფილისის მცხოვრებმა ქ-ნ კაზნაკოვსკიმ პოლიციას გადასცა გაუტეხელი ყუმბარა, რომელიც მან დიდუბის მოედანზე იპოვნა.

◆ სამშაბათს, 5 ივლისს, მეექვსე საპოლიციო უბანში, ღამის 11 საათზე, სუმბათოვის ქუჩაზე, ოქროყანის ნაწილის დარაჯმა ალი-მირზახან ყულიევმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა მეეზოვე ბაბა-სადიხ-ოღლი, რომელიც მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ სამშაბათს, 5 ივლისს, მეშვიდე საპოლიციო უბანში, ნინო არუთინოვის სადგომიდან მის მოსამსახურეს 600 მანეთი ნაღდი ფული და 4000 მანათის ნივთები წაუღია. ქურდი დაიმალა.

◆ სამშაბათს, 5 ივლისს, ვოგზალის მოედანზე, ორ ჯიბგირს, დათიკო დავიდოვს და ვანო ჯანიბეგოვს, ჩხუბი მოუვიდათ და **სასიკვდილოთ დასჭრეს** ერთმანეთი ბებუთით.

◆ მეშვიდე საპოლიციო უბანში, კუბინსკის ქუჩაზე, სიმონ კრიტიკოვმა სიმთვრალის დროს მძიმედ დასჭრა სათადარიგო ჯარის-კაცი ვასილ ტატარენკოვი.

რუსეთი

როგორც პეტერბურგიდან მოსულ ცნობებიდანა სჩანს, **ოდესაში სულ რვა გემი დამწვარა.** (ს. ო.).

◆ ამბობენ, ადმირალი **როჟესტვენსკი,** ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, **საზღვაო მინისტრის ამხანაგად დაინიშნებაო** (ნ.).

◆ არტისტი **დალსკი პასუხის გებაში მისცეს** მარტო იმიტომ, რომ იმან თეატრში შეკრებილ ხალხს საზოგადო ხასიათის სიტყვით მიმართა. (ნ.)

◆ მოსკოვში ხმა დადის, რომ **შუვალოვის ადგილას** ოდესის გრადონაჩალნიკს ნეიდგარდტს ნიშნავენო (ნ. ჟ.).

◆ **უკანასკნელი ცნობები შუვალოვის მკვლელობის შესახებ.** შუვალოვის მკვლელი წინადაც ყოფილა დატუსაღებული. ერთხელ, როდესაც ის სასეირნოდ მიჰყავდათ, გაპარვა მოახერხა. როდესაც გრაფმა შუვალოვმა მისი გაქცევის ამბავი გაიგო, საიდუმლო პოლიციის აგენტებს დიდძალი ფული დაუნიშნა მის დაჭერისათვის. იმ დროს, როდესაც პოლიციამ გაცხარებით ძებნა დაუწყო, ის გრადონაჩალნიკის სახლში მივიდა და თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. (ნ. ჟ.).

◆ „მატენ"-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: ხალხის წარმომადგენლების მოწვევა იმიტომ დაგვიანდა, რომ ბულიგინის პროექტის ხელ-მეორედ განხილვას შეუდგნენო; როგორც ამბობენ, **რეფორმები 6 ივლისს გამოცხადდება მოსკოვში.** (ნ. ჟ.).

◆ როგორც „ნ. ჟ."-ს ატყობინებენ, 6 **ივლისისთვის მოსკოვში** შემდეგი პირები მიდიან: მ. პ. ფედოროვი, მ. ი. პეტრუნკევიჩი, ნ. ა. ოპელი და ი. ა. ლიხაჩევი.

◆ 30 ივნისს **მოსკოვში** უცხოეთის გაზეთების აურაცხელი კორესპონდენტები წასულან (ნ. ჟ.).

◆ როგორც „ნ. ჟ."-ს ატყობინებენ, შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი **თ-დი სვიატოპოლკ-მირსკი** ამ დღეებში პეტერბურგში მივა. ამ მისვლას დიდი კავშირი აქვს იმ ღრმა ცვლილებებთან, რომელიც ახლა ადმინისტრატიულ წრეებში მოხდება.

◆ „ნ. ჟ."-ს გაუგია, რომ გ.-ად. ე. ი. **ალექსეევი** სრულიად თავს ანებებს სამსახურს.

◆ როგორც ხმა დადის, ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ ყველა კანონ-პროექტებს არ დაამტკიცებენ, **სანამ მას ხალხის წარმომადგენლები არ განიხილავენ.** (ნ. ჟ.).

◆ **პატიოსნება.** როგორც „ოდ. ნოვ." ატყობინებენ, „პატიომკინზე", გემის კომანდირის ოთახში, მატროსებს მოკლულ კაპიტანის გოლიკოვის ასი თუმანი უპოვიათ და საესებით მის ქვრივისთვის გადაუციათ.

◆ პეტერბურგის უნივერსიტეტის **სტუდენტები ჯერ თხოვნებს არ აძლევენ** და ელიან საზოგადო კრებას, რომელიც ენკენისთვეში უნდა მოხდეს (ნ. ჟ.).

◆ „ნოვოსტი" სარწმუნო წყაროებიდან დანამდვილებით იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრი ბულიგინი **ჩქარა დაანებებს თავს სამსახურსაო.** მის ადგილზე ასახელებენ ისევ დ. ნ. შიპოვს. ამბობენ, მომავალ მინისტრს განზრახვა აქვს პრესსის აუტანელი მდგომარეობა შეამსუბუქოს და ადმინისტრაციის თვითნებობა ალაგმოსო. მეორე ვერსიით, ბულიგინის ადგილზე **დაბეჯითებით ასახელებენ** პეტერბურგის ახლანდელ გენერალ-გუბერნატორს, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს (პოლიციის მინისტრს) **დ. თ. ტრეპოვს.** (რ. ვ.).

◆ **პრესსის თავისუფლება.** ოდესის დროებითმა გენერალ-გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა ყარანგოზიშვილმა, მიიწვია ოდესის ყველა გაზეთის რედაქტორ-გამომცემელნი და სასტიკად აუკრძალა ოდესის ახლანდელ ყოფა-ცხოვრებაზე რისიმე წერა. ამასთანავე თავისი ინსტრუქციაც გადასცა და უბრძანა, ამ ინსტრუქციის თანახმად მოიქეცითო. ახლა ოდესის გაზეთებს სამი ცენზორი ჰყავს. ყოველ მართალ ცნობის გამოქვეყნებისათვის ყარანგოზიშვილი დაემუქრა,—სასტიკად დაისჯებითო (რ. ს., ჩერნ. პობ.).

◆ ხერსონის გუბერნატორის ლევაშოვის განკარგულებით, 24 ივნისს **დახურულ იქმნა გაზეთ „გოლოს იუგა" სტამბა** ცენზურისაგან ნებადაურთველ წერილების დაბეჭდვისა და ცენზორის უმოწმობოდ გაზეთის გამოშვებისათვის. სტამბა დახურული იქნება იმ დრომდე, სანამ ქალაქში გაძლიერებულ დაცვის წესები არ გაუქმდება, ხოლო ამ წესების გაუქმების იმედი კი ამ ორ-სამ წელიწადში არა აქვთ (რუს. სლოვო, ჩერ. პობ.).

◆ „იუჟნაია როსსიას" რედაქციას აურაცხელი უსახელო წერილები მოსდის; წერილების გამომგზავნელნი **სიკვდილს ემუქრებიან იმათ, ვინც ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ სწერენ და ლაპარაკობენ.** წერილებს ქვეშ აწერია: „ჭეშმარიტ რუს ხალხის პატრიოტული კავშირი". ამბობენ, სუვორინ-მეშჩერსკისა და კომაროვსაც შიში მოელით, რადგანაც ისინიც ლაპარაკობენ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევაზეო (რ. სლ., ჩერნ. პობ.).

◆ ოდესის დროებითმა **გენერალ-გუბერნატორმა ყარანგოზაშვილმა ოდესაში ცხოვრება აუკრძალა:** ნაფიც ვექილთა საბჭოს თავმჯდომარესა და ქალაქის საბჭოს ხმოსანს ბ-ნს **პერგამენტს** და ოდესის უნივერსიტეტის **პრივატ-დოცენტს ორჟინსკის.** ორივენი უკვე გააძევა ოდესიდან, ხოლო ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ბ-ნს **ტარასევიჩს,** რომელიც ამჟამად სოფლად სცხოვრობს, **ოდესაში შესვლა აუკრძალა.** (სლ., რ. ვ.).

◆ ხარკოვის პოლიციამ **დაატუსაღა რამდენიმე ჯარის კაცი, რომელნიც პოლკიდან გაქცეულიყვნენ.** (ნოვ.).

◆ იალუს კონცესიის გმირის **ბეზობრაზოვის მორჩენის იმედი** აღარა აქვთ ექიმებს. ახლა მხოლოდ იმით ასულდგმულებენ, რომ კანში მორფიას უშხაპუნებენ (ნაშა ჟიზნ).

◆ სინოდის ობერ-პროკურორი კ. პ. **პობედონოსცევიც ძლიერ ავად ყოფილა.** მისი მორჩენა საეჭვოა. ამჟამად პობედონოსცევი საზღვარგარედ იმყოფება სამკურნალოდ (რ. ვ.).

„პოტემკინის" თავგადასავალი.

რუსეთის დღევანდელმა აზვირთებულმა ცხოვრებამ თავისი ტალღები სახელმწიფო მიჯნებს გადააცილა და უცხო ქვეყნებსაც აგრძნობინა შინაური კარტეხილი და ღელვა. სხვათა შორის, ბულგარია და რუმინიაც ააჩოჩქოლა, აღელვა ოდესიდან გაქცეულმა ჯავშნოსან „პატემკინისა" და ნაღმოსან № 267 დაუპატიჟებელმა სტუმრობამ. პატარა რუმინია, რომლის კიდეებსაც დაუახლოვდა თავზე ხელაღებული წითელ-დროშა აფრიალებული „პოტემკინი" და ნაღმოსანი „№ 267", დაიბნა... არ იცოდა, როგორ დახვედროდა დაუპატიჟებელ სტუმარს? გამასპინძლებოდა თუ მკვახე პასუხი გაეცა. პირველ შემთხვევაში შესაძლო იყო რუსეთის კონფლიქტი გამოეწვია. მეორე შემთხვევაში, უძლური იყო

ჩილებით მისდევს უკან დამტყვევებელს.

— რამდენი გნებავთ?

— რამდენიც თქვენი ნებაა!..

— ბილეთი მანათი ღირს!

— რა ვქნათ!..—დარცხვენით იღებს ფულს. უხერხულად აწოდებს და დამნაშავესავით ერთს ადგილას სდგას.

— ხურდა გნებავთ?

— თქვენი ნებაა!

— არა მაქვს ხურდა...

— რა ვქნათ!..—ამბობს გულჩათუთქული და თან გულიც მოსდის: იმის მაგივრად, რომ ახლა ამ მშვენიერს არსებას ეტრფოდეს, მასთან ლაპარაკით სტკბებოდეს, ფულის რაღაც სულელურს ანგარიშს ეწევა. ერთი უნდა ეცადოს, რაც შეიძლება, თავისი ჯიბე დაიცვას, მეორე კი სულ იმის ფიქრში იქმნება, როგორმე დააცალიეროს იგი.

— სისულელეა, სისულელე!—ამბობენ ორივენი გულში, მაგრამ „მშვენიერი ხუნხუზი" უცბად შორდება მას და აღგზნებულის თვალებით ხალხში ვიღასაც ეძებს. მსხვერპლი კი, თავჩაღუნული, დანარჩენს მაგიდებს გვერდზე უვლის და იქ მსხდომს ქალებს თვალს არიდებს. მიდის და უსიამოვნო გრძნობით ყოველ წამს მოელის ქალის ხმის გაგონებას: იყიდეთ ბილეთები, იყიდეთ წიგნები, კამფეტები!

— თქვენთან წერილია!—ანგელოზისებურის სახით ქალი ელობება ყმაწვილ კაცს და მოხდენილის მიხვრა-მოხვრით წერილს აწოდებს. სხვა დროს დარცხვენილი, გაუბედავი, იმ წუთში თამამად შესცქერის ყმაწვილს და მოთმინებით მისგან ფულს ელის.

წერილის პატრონი წითლდება, წერილს იღებს და ფულს აძლევს.

— ხურდა არ გერგებათ!—იღიმება „ფოსტის დამტარებელი", და ბედნიერი, კმაყოფილი გარბის დანარჩენ წერილების დასარიგებლად.

წერილის მიმღები კი სახტად რჩება და წერილის გახსნის სურვილიც კი არა აქვს. კარგად იცის, რომ წერილში ან სულელური ლექსი იქნება, ან არა და—ისეთი სიტყვები, რომელიც თავის-თავად ძალიან კარგია, მაგრამ მას სრულებით არ შეეხება.—კარგ რასმე მაინცა სწერდნენ!—ნაღვლიანად ამბობს წერილის მიმღები და ჰფიქრობს, იქაურობას მოშორდეს, მაგრამ მაინც იქვე რჩება და გულმოდგინედ ჰყიდულობს ბილეთებს, კამფეტებს, წიგნებს და ივსებს ჯიბეებს სულელურის წერილებით.

მუშაობა თანდათან გაჩაღდა. ყველა თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა. ხალხი ახმაურდა, აქა-იქ გაისმოდა თამამი ლაპარაკი, სიცილი და „კონფეტი"-ს ფანტვა.

გამხიარულდნენ „ისინიც", მაგიდებთან თამამად მიდიოდნენ, 10—20 ბილეთს ერთად ჰყიდულობდნენ და ღიმილით უწყრობდებოდნენ. აქაც მათ მოძრაობასა და ღიმილში ამოიკითხავდით:—თქვენ რა ხართ? მათხოვრისთვის ორი კაპეიკის მიცემა რომ გინდოდეთ, ქმარსა, მამასა ან ძმას უნდა მიმართოთ, ჩვენ კი, აი, რამდენს ფულსა ვხარჯავთ და არაფრად არ ვიმჩნევთო!

სეირნობა ღამის 10 საათამდე იყო დანიშნული, ამის შემდეგ რესტორანს თავისი ელფერი უნდა მიეღო, სცენაზე უნდა ეთამაშნათ, ეცეკვნათ, ემღერათ, და ღვინით შეზარხოშებულ მამაკაცთ კი, რაც შეიძლება, მეტი სასმელი მოეთხოვნათ და ეყვირნათ, ემტვრიათ იქაურობა.

ქველ-მოქმედებმა თავისს მიზანს მიაღწიეს: ხალხს ჯიბეები დაუცალიერეს. მამაკაცები აღარ მალავდნენ და პირდაპირ აღიარებდნენ, ფული აღარა გვაქვსო. ამასთან დახარჯულს ფულის ჯამს და ნაყიდ ბილეთების რიცხვს აზვიადებდნენ.

ათი საათი გადასული იყო, ხალხს დაღლილობა ეტყობოდა, გამყიდველებმაც ენერგიას უკლეს, საიდგანღაც გაჩნდნენ ქველ-მოქმედი გამგე ქალები და ლამაზ გამყიდველებს ფულსა და დარჩენილ ბილეთებს უკან ართმევდნენ.

ამ დროს სცენაზე რაღაცა მზადება დაიწყო. მამაკაცები ქალებს სახლში წასვლას ურჩევდნენ, აშინებდნენ, საცაა დაიწყება წარმოდგენები და შერცხვებითო. მაგრამ ხალხი ბლომად იყო, ერთი-ერთმანეთს უყურებდა, ქალები ჟინიანობდნენ და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდნენ.

რესტორანის პატრონი და სეირნობის გამგენი ხალხის წინაშე პასუხის-მგებელნი აღარ იყვნენ. რესტორანის ცხოვრება იწყებოდა. მამაკაცები, რომელნიც ქალებს არ მოჰყოლიან დარბაზში, მაგიდებს მიუსხდნენ და მხიარულ დროს გატარებას ეპირებოდნენ. „ისინი" ერთი მაგიდიდან მეორეზე გადადიოდნენ, იგრიხებოდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. მათ ეს არა ჩვეულებრივი გარემოება ამხიარულებდათ.

დარბაზის ერთ-ერთს ბოძს მიჰყუდებოდა ერთი „მათგანი", დაბალის ტანის ფერმიხდილი ყმაწვილი ქალი, და ნაღვლიანი თვალი მიეპყრო შეჯგუფულ ხალხისთვის.

ქალს გვერდით უდგა ტიკინივით მორთული ყმაწვილი კაცი და ყურში რაღასაც ჩასჩურჩულებდა. ქალი კარგა ხანს ყურს არ უგდებდა. ბოლოს შეინძრა, მიუბრუნდა ყმაწვილს და ზარმაცად ჰკითხა:

— რატომ სახლში არ მიდიან?

ყმაწვილმა ხალხისკენ მიიღო თავი, თითქო ამის პასუხი იქ უნდა ამოეკითხაო.

— ახლა რომ დავიყვირო: ბავშვებო, წადით სახლში, ძილის დროა! რას იტყვიან, ჰა?—ხმამაღლა გადიხარხარა ქალმა,—რანაირად დაფრთხებიან... ჰა, ჰა, ჰა!.. რა საცოდავები არიან!—მოიღუშა უცბად სახე და განშორდა მომცინარე ყმაწვილს.

ხმაურობა ბაღიდან დარბაზში გადავიდა და თანდათან მატულობდა. ამ ხმაურობაში და ჭურჭლის ჩხარა-ჩხურში უცბად გაისმა ზარის ხანგრძლივი წკრიალი, პირველი, მეორე და სცენაზე ფარდა ნელ-ნელა აიწია. ხმაურობა ცოტაოდნად შესწყდა. ყველამ თვალები სცენას მიაპყრო, სადაც მწკრივად იდგა აჭრელებულ ქალების ხორო და მალორუსიული სევდიან სიმღერას ამბობდა.

ფერ-მიხდილი, პუდრ-შეყრილი სახეები, ლამაზი და ულამაზო, სევდიანად გამოიყურებოდნენ გულ-გადაღეღილი სხვადასხვა ფეროვანი კაბები ელექტრონის სინათლეზე ათას ფრად ბრჭყვრიალებდა.

ხალხი მოტყუებული დარჩა, მზად იყო იმედი სრულებით დაეკარგნა. მაგრამ აგერ ხორო გადავიდა სამხიარულო, საცეკვაო სიმღერაზე, წყობიდან დინჯად გამოვიდა ერთი მათგანი და მოხდენილის მიხვრა-მოხვრით, გოგმანით სცენას ჩამოუარა, ხორო თანდათან უჩქარებდა სიმღერას და მის მიხედვით მოცეკვავეც თანდათან ეშხში შედიოდა, თავდაუწყვეტით უვლიდა, მამაცურის გუგუნის ზეგავლენით, ციბრუტივით ტრიალებდა და ფეხებს მაღლა იქნევდა. დრო გამოშვებით, პროწიალით თავ-ბრუ დასხმული მოცეკვავე ქალი მთელის ტანით ირხეოდა, კუჭნას სცემდა და ფეხებით იატაკს ურტყამდა.

ხალხი სცენის გვერდზე შეჯგუფულიყო, სკამებსა და მაგიდებზე ადიოდა, ერთმანეთს აწვებოდა, ძვირფასს კაბებს ჰმუჭნიდა, სიცხისაგან იწოდა, მაგრამ არაფერს ამჩნევდა, რადგან სცენაზე მოთამაშენი იცვლებოდნენ, სხვადასხვა ნაირად ცეკვავდნენ, ორ-აზროვან კუპლეტებს მღეროდნენ და ყველა ცდილობდა, არც ერთი მათი მოძრაობა შეუმჩნევლად არ დაეტოვებინა.

მოთამაშენი ბედნიერად იღიმებოდნენ, მოვახშმეთ შორიდან კოცნას უგზავნიდნენ, ტაშის მკვრელთ ზრდილობიანად თავს უკრავდნენ და ჩქარის ნაბიჯით კულისებს უკან გარბოდნენ.

მაყურებელთა შორის ყურადღებას იქცევდა გამხდარი, წვრილის ტანის გასათხოვარი ქალი, ლამაზი, პატარა სახით და ბავშური, უმანკო თვალებით. ის შემდგარიყო სკამზე, ცალის ხელით თავის მეგობარს ქალს მხარზე დაყრდნობოდა, მეორეთი შუბლს ხშირად იწმენდდა, დაბნეულს სახეს ხან დარბაზისაკენ მიაბრუნებდა და მთვრალს ხალხს სინჯავდა, ხან აღგზნებულს თვალებს სცენას მიაპყრობდა ხოლმე და გაფაციცებით თვალს ადევნებდა „მათს" მიხვრა-მოხვრას, ღიმილს, გადაღეღილ მკერდს, ძვირფასს ბრჭყვრიალა მძივებით მორთულს კაბებს, ცეკვას, რომელიც გაგონითაც კი არ გაეგონა, და... სახეზე უზომო ტანჯვა ეხატებოდა.

— ღმერთო, ღმერთო, რა სისაძაგლეა, რა გარყვნილებაა!—ჩურჩულებდა დროგამოშვებით ქალი.

— წავიდეთ, რა სასიამოვნოა? გეყოფა, წავიდეთ!—ემუდარებოდა მეორე, რადგან კარგად ხედავდა მეგობრის ტანჯვასა, მაგრამ მეგობრის სიტყვები ქალს არ ესმოდა. სცენაზე იმ დროს ერთმა მომღერალმა ქალმა, ის იყო, სიმღერა გაათავა და მხიარულის თავის დაკვრით, მსწრაფლად კულისებისკენ გაბრუნდა.

— ვაშა, ვაშა, ბის... კეკუოკ!—ღრიალებდა მთვრალი ხალხი.

მომღერალი ღიმილით ისევ სცენაზე შემოიჭრა, ხალხს ხელით კოცნა გაუგზავნა და, თითქო დასაჯილდოვებლად, სიმღერის დროს უფრო თავისუფლად მოძრაობდა, უფრო ამაღელვებელ სიტყვებს ამბობდა.

— კეკუოოკ, კე...კ...უოოკ!—თავისას არ იშლიდა შეზარხოშებული ხალხი და გაფთრებული სცემდა ჯოხს იატაკს, მაგიდებს, თეფშებს, ბოთლებს.

მუსიკამ კეკუოკი დაუკრა. ქალი გამოვარდა სცენაზე და ცეკვა დაიწყო. ხალხი დამშვიდდა, ფეხზე წამოიწია და გაფაციცებით ცეკვას თვალს ადევნებდა. ეშმაკურის ღიმილით და თვალების უცნაური მოძრაობით, ქალი ათამაშებდა მთელს სხეულს: ფეხებს, ხელებს, ტანს, მკერდს, მხრებს ყოველ მოძრაობას თავისი მალული აზრი ჰქონდა და მცოდნე მაყურებელი ღირსეულად აფასებდა ქალის ხელოვნურ მოძრაობას. „ის" სცდილობდა, აპარებდა და ცეკვას აღარ ათავებდა.

დარბაზში სიჩუმე იყო. სკამზე მდგომმა ყმაწვილმა ქალმა შეჰკივლა, მეგობრის ხელზე გადაესვენა და საზარლად გადიკისკისა:

— ჰა, ჰა, ჰაააა... არ უნდა, არ უნდა, საზიზღრობაა... ღმერთო... რა უბედურები არიან! ჰა, ჰა, ჰაააა, ჰაი, ჰაი, ჰაი!..

მაყურებლებში ჩოჩქოლი ასტყდა, ვიღაცა ჰყვიროდა: წყალი, წყალიო! მუსიკა შესწყდა, ფარდა ჩამოუშვეს. ნერვებ აშლილი ქალი იქაურობას მოაშორეს, მაგრამ შორიდან კარგა ხანს მოისმოდა იმისი საზარელი, გაუთავებელი სიცილი.

სვ. ყიფიანი.

ძლიერის ჯავშნოსანისთვის ურჩობა გაეწია. ორ წყალ შუა დარჩა... ხმა გავრცელდა, რომ რუსეთის სამხედრო გემი „ელიზავეტა“ აპირებს ურჩ ჯავშნოსანთან შებმასაო. მაგრამ ეს მხოლოდ ღიმილს მოგვრიდა ადამიანს. რას გააწყობდა ცერის ოდენა „ელიზავეტა“ დევ-გმირ, თავზე ხელაღებულ ჯავშნოსანთან..

„პოტემკინი“ კონსტანცის დაუახლოვდა და მთავრობას შეუთვალა—სანოვაგე, წყალი და ქვანახშირი გვინდაო. სამხედრო მინისტრმა მანუმ გულის ფანცქალით გაბედა უარის შეთვლა... ამაზე ჯავშნოსანმა ძალის მიტანა განიზრახა და საომრად გაემზადა. ქალაქი შიშის ზარმა მოიცვა... მცხოვრებნი ქალაქიდან გარბოდნენ ბანკებმა ბრძანება მიიღეს, თავისი ავლადიდება სადმე გაეხიზნათ, მიემალათ... ამბობენ, ამბოხებული „პოტემკინი“ რუმინიის ნაპირებზე მდგარ რუსეთის გემის მეზღვაურთა გადმობირებას ცდილობდა, მაგრამ უნაყოფოდ... რუმინიის მეფემ სინაილოში სამხედრო მინისტრი მოიხმო, რის შემდეგაც რუსეთის დიპლომატიის წარმომადგენელმა და მისმა მდივანმა ბუქარესტი დასტოვეს... ჯერაც გამოურკვეველია ამისი მიზეზი. მაგრამ „პოტემკინმა“ კონსტანცმა არა დაუშავა-რა, არ აასრულა თავისი მუქარა და მშვიდობიანად გაბრუნდა გაშლილ ზღვაში. არც სანოვაგე, არც წყალი და არც ნახშირი არ დაანებეს. ზოგი ურწმუნო თომა კი ბოროტად ხმარობს ენას და ბოროტ ხმებს ავრცელებს, ვითომ კონსტანცმა, თუმცა ოფიციალურად უარი შეუთვალა „პოტემკინს“, მაგრამ საიდუმლოდ კი დააკმაყოფილა ჯავშნოსნის მოთხოვნილებაო...

იმასაც ამბობენ, რომ რუმინიის მთავრობამ „პოტემკინის“ მეზღვაურთ წინადადება მისცა, თუ გსურთ, რუმინიის კიდეებზე გადმოსხედით, როგორც დეზერტირები (გამოქცეულებიო), მაგრამ „პოტემკინმა“ ეს არ იკისრაო.

რაკი „პოტემკინი“ რუმინიის მიდამოებს გაშორდა, ახლა ბულგარიაში ჩავარდა ჩოჩქოლი, აჯანყებული ჯავშნოსანი სწორედ ჩვენ გვესტუმრებაო. გაზეთი „დენ“ გვარწმუნებს, რომ ვარნის მთავრობამ იქ მდგომ რუსის კრეისერ „ნადეჟდას“ შეუთვალა, თუ პოტემკინი აქ გაჩნდა, არამც და არამც სროლა არ აუტეხოვო. ადვილი გასაგებია ასეთის ბრძანების მიცემა, რადგან „ნადეჟდა“-ც ვერას გახდებოდა ჯავშნოსან „პოტემკინთან“ და საქმე უფრო გამწვავდებოდა. მაგრამ მალე დაწყნარდა ყველაფერი, რადგან ხმა გავრცელდა, „პოტემკინი“ სევასტოპოლს გაემართაო.

როგორც გაზეთები გვაუწყებენ, «პოტემკინის» ბედი ჯერაც გამოურკვეელია. პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ, თუმცა რუსეთის სააგენტომ ცნობა მოიტანა, „პოტემკინი“ 29 ივნისს სევასტოპოლში მივიდაო, მაგრამ 30 ივნისის ცნობით აღმოჩნდა, რომ 29 ივნისს არა ყოფილა „პოტემკინი“ სევასტოპოლში.

კონსტანციდან (რუმინიაშია) იუწყებიან, რომ ჯავშნოსანი „პოტემკინი“ სამშაბათს ნავთსადგურიდან გაიყვანეს, მაგრამ, რადგან სამანქანო განყოფილება მთლად გაფუჭებული აღმოჩნდა, გემმა „სინოპმა“ გამოიბა და ის მიჰყავსო. რუსის ადმირალმა „სინოპ“-ზე გადაიტანა საადმირალო დროშა.

როგორცა სჩანს, „პოტემკინის“ მეზღვაურნი, 800 კაცი, რუმინიაში დეზერტირებად გადასულან. „კენიგსბერგის გაზეთი“ იუწყება, რუმინიამ ოფიციალურად აცნობა რუსეთს, გამოქცეულ და შემოხიზნულ მეზღვაურებს არაფრის გულისათვის ხელში არ მოგცემო. საერთაშორისო დებულებით, რუსეთს ნებაც არა აქვს რუმინიას მოსთხოვოს დეზერტერების გაცემა. რუმინიის სააგენტო იუწყება, რომ „პოტემკინის“ ბედი და თავგადასავალი გვარიანად დაბოლოვდა და რუმინიის მთავრობამ ისე მოხერხებულად, ოსტატურად წაიყვანა საქმე, რომ არც მწვადი დაწვა და არც შამფური: „პოტემკინის“ მეზღვაურნიც შეიხიზნა და არც კონფლიქტი გამოიწვია. შეხიზნული მეზღვაურები სხვადასხვა სამუშაოს ჰკიდებენ ხელსაო.

მიტინგი ბერლინში და ჟორესის სიტყვა

8 ივლისს (ახალი სტილით) ბერლინში დიდებული მიტინგი მოხდა. აუარებელი ხალხი მოაწყდა „ახალი ქვეყნის“ დარბაზს; დარბაზი მხოლოდ 5,000 კაცს იტევს. გარედ ქუჩაში ორი ათასზე მეტი კაცი იდგა. ხალხის ასეთი მოზღვავება იმითიც აიხსნება, რომ ამ დღეს პარიზიდან ცნობილი მჭევრ-მეტყველი სოციალისტი ჟორესი უნდა მოსულიყო და მიტინგზე სიტყვა ეთქვა. მაგრამ ჟორესი ბიულოვის თხოვნის ფრანგულის თავაზიანობით მოეკიდა და წასვლაზე უარი განაცხადა. ნამდვილად კი ბიულოვმა შეუთვალა ჟორესს, ნუ შესწუხდებით, თქვენი ბერლინში მოსვლა სულ მეტი და შეუძლებელიაო. ამ საქციელმა მეტად გააბრაზა გერმანელი სოციალ-დემოკრატები და მთელის ევროპის პრესსა აალაპარაკა. ბერლინში თავმოყრილმა ხალხმა გულის წყრომა შეუთვალა ბიულოვს და აშფოთებული გაჰკიოდა: ფუი, ბიულოვსაო!..

ბიულოვს სიცილი დააყარა ევროპის პრესსამ. კლემანსო „ორორ“-ში სწერს: „ადამიანის გონება განა ოდესმე იმ სულელობამდე მივა, რომ კაცს აუკრძალოს ლაპარაკი რამდენსამე ათას კაცთან, მაშინ, როდესაც მას მეორე დღესვე შეუძლიან თავისი აზრი გაზეთის საშუალებით მილიონებს გაუზიაროს?“...

გერმანული გაზეთი „ფორვერც“ სულ ამასხარავებს ბიულოვს და ამხილებს: ეგ არის შენი რწმენა, რომ ჟორესის აზრს სავსებით ვეთანხმებით, როდესაც რუსეთის აბსოლიუტიზმის დასაგმობად ჟორესის სიტყვები მოგუყვდა?.. განა ასე მალე დაივიწყე შენი სიტყვები, გერმანელ ამხანაგთა მიმართ ნათქვამი, რომ რევოლუციონურს ზომებს მიმართეთ ხოლმეო?!. და შემდეგ გაზეთი სარკასტიულად დასძენს: ესეც კია, გერმანიის კანცლერმა რომ თავის „ამხანაგს“ სიტყვის ნება მისცეს, კატორგაში ვინ-ღა გაგზავნოსო?!..

თუმცა ბიულოვმა ჟორესს ბერლინში მისვლა აუკრძალა, მაგრამ 8 ივლისს დანიშნული მიტინგი მაინც შესდგა. რეიხსტაგის დეპუტატმა ფიშერმა ჟორესის დეპეშა წაიკითხა, სადაც იგი, სხვათა შორის, ამბობს:

„არავითარს ძალას არ შეუძლიან ჩვენი გაყრა, განცალკევება: არც შოვინისტურ სიბეცეს, არც მთავრობის „ყადაღა“-ს და არც დიპლომატთა ბრიყვულ მელა-კუდაობას. ჩვენ ერთს, მთლიანს სხეულს შევადგენთ... ჩვენ ერთი სურვილი და ერთი გრძნობა გვასულდგმულებს. მმართველ კლასთა დახავსებული ტაქტიკა ერთის ქვეყნის სოციალისტებს მეორეზე ამხედრებს, მაგრამ თვით ეს მოვლენაც უტყუარი საბუთია საერთაშორისო სოციალიზმის (ინტერნაციონალის) ძლიერებისა, რომელსაც ვერც ერთი მთავრობა ვერ გაუმკლავდება... მთავრობას მხოლოდ ეგ ერთი უბადრუკი საშუალება-ღა დარჩენია... დევ, იდრინოს და ისისინოს... ჩვენს გაერთიანებას ვერ შეარყევს იგი“...

ამის შემდეგ, ედუარდ ბერნშტეინის წინადადებით, საპასუხო დეპეშა გაუგზავნეს ჟორესს, რომელიც ასე თავდებოდა:

„გაუმარჯოს გაერთიანებულს და განუყოფელს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას“.

მიტინგზე თანაგრძნობა გამოუცხადეს რუსეთის მუშა-ხალხს. დაჰგმეს რუსეთის ბიუროკრატია, რომელიც უფლების შესარჩენად არც ქალსა და არც ბალღს აღარ ინდობს. ქებათა-ქება შეასხეს რუსეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლ დასებს და თავგანწირულ გმირებს... რაკი ჟორესმა ბერლინში ვერა სთქვა სიტყვა, თავის გაზეთ „ჰუმანიტეში“ მოათავსა იგი. ამ სიტყვაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„საერთაშორისო ძალმომრეობის იარები ჯერაც არ გამთელებულა, მისი შედეგი მძიმე ტვირთად დააწვა ევროპას და მთელ მსოფლიოს. მისი განკურნება ომით კი არა, დემოკრატიისა და სოციალიზმის განვითარება-გაძლიერებით შეიძლება. წინსვლისა და პროგრესისათვის მშვიდობიანობაა საჭირო. მშვიდობიანობის დასაცველად კი საჭიროა მშვიდი განწყობილება და საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთ შორის ნდობა და სიყვარული.

ამისათვისაც არის, რომ ჩვენ, საფრანგეთის სოციალისტებმა, ერთხელ და სამუდამოდ დავგმეთ და გავკიცხეთ გერმანიასთან ომი. ასეთი ომი დემოკრატიისა და პროლეტარიატის ინტერესებს დაარღვევდა და შელახავდა, მაშასადამე, შელახავდა თვით ერთვნების უფლებასაც, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიისა და დემოკრატიის მეოხებითაა უზრუნველყოფილი... ამას ვამბობ მე თქვენს წინაშე, გერმანიის სოციალისტებო, ვამბობ და არცა ვკრთები, რადგან დარწმუნებული ვარ, თქვენც ისე მიუდგომლად, სინდისიერად მსჯელობთ თქვენს სამშობლოზე, როგორც ჩვენ ჩვენსაზე. ორისავე ეროვნების იდეალიზმის გაკოტრებისა და დაცარვის მომასწავებელი იყო, რომ 35 წლის წინად მხოლოდ ომისა და სისხლის ღვრის წყალობით მივაღწიეთ: თქვენ — გაერთიანებას, ჩვენ — რესპუბლიკას. ჩვენ საკვეხური და თავმოსაწონი არა გვაქვს რა ერთმანეთთან. ჩვენ მხოლოდ მისთვის ვიგონებთ წარსულს, რომ ყველამ ერთად დავივიწყოთ. შეუერთოთ ჩვენი საამაყე, განვდევნოთ სიძულვილი, დავგმოთ უნდობლობა, ხელი ხელს მივცეთ საბოლაოდ შესარიგებლად. საფრანგეთი და გერმანია მჭიდროდ დავაკავშიროთ, რომ ორთავე სახელმწიფოს პროლეტარიატმა შეიძლოს მთელი ძალ-ღონე, მთელი შემოქმედებითი ძალა თავისუფლების მოპოვებასა და ცივილიზაციის დამყარებას მოახმაროს“.

კორესპონდენცია

ქ. ბაქო. სენატორმა ბ-მა კუზმინსკიმ რევიზიის შემდეგ დაადგინა: სამსახურიდან გადაყენებულ და პასუხისგებაში მიცემულ იქმნენ ქ. ბაქოს პირველი ნაწილის ბოქაული კაპიტანი მამედბეკოვი, მეორე ნაწილის ბოქაული პოდგორნი, თანაშემწე ბოქაულისა სულთანოვი, უბნის ზედამხედველი პახტახტინსკი, პოლიცმეისტერი კაპიტანი დემინსკი, მესამე ნაწილის ბოქაული თავ. ნიჟარაძე და სხვანი, რომელთა სახელი და გვარი ჯერ არ არის გამოქვეყნებული. ბაქოში სომეხ-თათართა მოსარიგებლად კომიტეტი შესდგება. ქალაქი დაყოფილია 12 ნაწილად და თითოეულ ნაწილს კომიტეტმა თავთავისი მმართველი მიუჩინა. მკვლელობა და დაჭრა აქ ხშირია; ღამე ისე არ გავა, რომ ორი-სამი არ მოკლან ან არ დასჭრან. ერთ კვირას დავრჩი ბაქოში და 12-მდე დაჭრა-მკვლელობა მოხდა. 21 ივნისს ბიბი-ეიბათში, „ვოტან“-ის ქარხნის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა და მათ მხარი მისცეს იმავე ქარხნის ბადახანის მუშებს. მუშებმა წარადგინეს მოთხოვნილებანი: მომატებულ იქმნას ჯამაგირი 20 პროც., გაფიცვის დროსაც მიეცეს მათ ჯამაგირი, მუშებს ქარხნის ადმინისტრაცია ექცეოდეს ზრდილობიანად და სხვ... მუშების მოთხოვნილებანი ორივე ქარხნებში დაკმაყოფილებულ იქმნა.

ბაქოს რკინის გზის სადგურის მსახურთათვის მაისის დამდეგს უნდა დაერიგებინათ საზაფხულო ტანისამოსი; გავიდა ორი თვე და ტანისამოსის მაგიერ მათ დაურიგეს ვეებერთელა რკა-კუთხედებიანი ცინკის ნიშნები სატარებლად. მსახურნი უარს აცხადებენ და არ უნდათ ამ ნიშნებით საკუთარი ტანისამოსი წაახდინონ.

ბაქოში, რკინის გზის სადგურის მახლობლად, არსებობს ქართულ-რუსული უფასო სამკითხველო. ეს სამკითხველო დაუარსებია ოთხ-ხუთ ქართველს, ინახავენ საწევრო ფულით და უფრო კი თავისი ხარჯით; მოდის ყველა ჟურნალ-გაზეთი, როგორც კავკასიის, ისე სატახტო ქალაქებისა; მკითხველები ბლომად არიან. სამკითხველო გამოჩენილ ადგილას და კარგ ოთახში მოუთავსებიათ; გამგეც ჰყავს და მსახურიც.

ვ. ბ.

—

დაბა ხაშურში (მისაიდოკში) საერთო გაფიცვა დაიწყო ივნისის 19 ს და გათავდა 27-ს. ამ ხნის განმავლობაში დუქნები ყველგან დაკეტილი იყო, ვაჭრობა აღარსად ეფთილა, მატარებლების მიმოსვლა შეწყდა, სადგური დაცარიელდა, სადგურის უფროსის მეტი არავინ გაჩერებულა სამსახურში. სანოვაგეს შოვნა გაჭირდა. კრებები დღეში ორჯელ ხდებოდა რკინის გზის სადგურის წინ, პოლიციელიც ესწრებოდა; კაზაკებს უნდოდათ იარაღი ეხმარათ და გაეფანტათ ხალხი, მაგრამ მაზრის უფროსის თანაშემწემ მათ ნება არ მისცა. მან შეატყო, რომ ხალხიც უპასუხებდა კაზაკებს და დიდი უბედურება დატრიალდებოდა. ხალხი ქუჩებში დროშა-აფრიალებული დადიოდა. გაფიცვამ და კრებებმა მშვიდობიანად ჩაიარა.

ერთმა უცაბედმა შემთხვევამ ხალხი ძლიერ დაალონა. სურამში წვეულების დროს აბაზაძემ უცაბედათ მოჰკლა მემანქანე ხიდირბეგაშვილი. ფეხ-შემართული რევოლვერი უცებ მისს დაეწია, გავარდნილიყო და ტყვიამ ხიდირბეგაშვილი კი იმსხვერპლა. მის დასაფლავებას აუარებელი ხალხი დაესწრო. კუბო შემკობილ იქმნა მრავალი გვირგვინებით. დასაფლავების დროს წარმოითქვა სიტყვები, ხიდირბეგაშვილი საზოგადოებას ძლიერ უყვარდა.

2 ივლისს, ს. გომში დარაჯებმა ჩამოიყვანეს მძიმედ დაჭრილი სომეხი მოსიაშვილი, რომელიც კარგა ხანია დანავარდობდა და მთავრობას ხელში ვერ ჩაეგდო. ეს მოსიაშვილი ქურდობდა და ძარცვავდა ხალხს; როგორც უამბობენ მკვლელობაც ბევრი ჩაუდენია. ამ ბოლო დროს „ერთობის“ სახელით ხალხს ყვლეფდა.

ვლადო ბზვანელი.

—

კავკავი. 20 ივნისს, დილის 8 საათზე, კავკავში თერგის ოლქის უფროსის სასახლის წინ თავი მოიყარეს კავკავის მაზრის ოსებისა და ჩაჩნების სოფლების არჩეულმა პირებმა, რომლებმაც მოისმინეს ნამესტნიკის რწმუნებულის გენერალ-მაიორის მიხაილოვისაგან, რომ მათ სოფლის მოხელე პირების არჩევისა და საქონლის რეგისტრაციის მოსპობის უფლება ეძლევათ. კრებამ თავის მხრივ წარუდგინა მოთხოვნილებანი, რომლის სისრულეში მოყვანას შეუძლიან მშვიდობიანი და კულტურული ეკონომიური განვითარება ერისა. ოსებმა თავიანთ მოთხოვნილებაში შემდეგი სასურველი და აუცილებლად საჭირო რეფორმები აღნიშნეს:

1. დაუყონებლივ მოწვევა ხალხის წარმომადგენლებისა საზოგადო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული ხმის მიცემის უფლებებით, განურჩევლად ეროვნებისა.
2. თანასწორობა ყველასი კანონის წინაშე.
3. პასუხის-გება თანამდებობის პირებისა კანონის წინაშე კერძო პირთა საჩივარით.
4. ხელშეუხებლობა პიროვნებისა და სადგომისა.
5. სიტყვისა, ბეჭდვისა, სინდისისა, კრებისა, კავშირისა და გაფიცვის თავისუფლება.
6. მიმოსვლის თავისუფლება და მოსპობა პასპორტული სისტემისა.
7. შემოღება ნაფიც მსაჯულთა ყველა მოქალაქეთაგან.
8. მოსპობა გაძლიერებულ დაცვის დებულებისა.
9. ცოდნა ოსურის ენისა და ოსების ყოფა-ცხოვრებისა ადგილობრივი საოლქო სასამართლოს რომელიმე წევრის მიერ და შემოღება ნაფიც თარჯიმანთა ინსტიტუტისა განათლების ცენზით.
10. ცოდნა გამომძიებელთაგან ადგილობრივის ენისა და დაცვის შემოღება გამოძიების დროს.
11. მომრიგებელი მსაჯული უნდა აირჩეოდეს ხალხისაგან, მიუხედავად ქონებრივი უფლებისა.
12. მოსპობა 1888 წლის დებულებით შემოღებულ წეს-წყობილებისა ყუბანისა და თერგის ოლქის გამგეობის საქმეში.
13. ფართო ადგილობრივი თვითმართველობის შემოღება.
14. გამგებლობა ოსეთის ოლქისა უნდა შესდგებოდეს ოსების-მიერ არჩეულ პირებისაგან.
15. შეცვლა არა-პირდაპირ გადასახადისა.
16. მოსპობა ყოველგვარის ბეგარისა და განთავისუფლება მცხოვრებლებისა საპოლიციო გამოწვევისაგან.
17. მოსპობა სახელმწიფო ღვინის მონოპოლისა ოსეთში.
18. დაუბრუნდეს ოსებს წართმეული მიწები და ტყე, რომელიც დღეს ხაზინისა და ყაზახთა ჯარის უწყებაშია გადასული; ჩამოერთვას სამღვდელოებას მიწები.
19. განაწილება საიჯარადრო გადასახადისა არჩეულის პირების-მიერ.
20. მიეცეს საკუთრებად უფლება ოსებს ის მიწები, რომელიც დღეს აქვსთ ბარად.
21. მიეცეთ საკუთრებად მიწები მთელ ოსებს თერგის ოლქში.
22. მიეცეს საკუთრებად მიწაში აღმოჩენილი მადნეულობანიც.
23. მოსპობა სავალდებულო დაზღვევისა ოსების სოფლებში.
24. მოისპოს ჯარიმები ტყეზე, არაყისა და ლუდის გამოხდაზე და ყველა ნედოიმკები.
25. მიეცეს სოფლის მცხოვრებს იაფი სახელმწიფო კრედიტი მიწების სასყიდლად.
26. ნება ჰქონდეთ ატარონ სხვადასხვა იარაღი.
27. საზოგადო, სავალდებულო და უფრო სწავლა-აღზრდა ორივე სქესის მოზარდ თაობისა 16 წლამდის.
28. თავისუფალი არჩევა სკოლის ტიპისა და განცხადებითი სისტემის შემოღება სკოლებისა, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოს გახსნის შესახებ.
29. საზოგადოების მიერ თვალყურის დება სკოლებისათვის, სწავლება პირველ ორ წლის განმავლობაში სამშობლო ენაზე და შემდეგ მისი სავალდებულო სწავლება.
30. გადაკეთება არდონის სემინარიისა და კავკავის ქალების თავშესაფარისა საშუალო საერო სასწავლებლად, ოსურის ენის სავალდებულო სწავლებით.
31. გაზვერება მთიელთა სტიპენდიებისა საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში.
32. დაარსება კავკაში უმაღლესის სასწავლებლისა.
33. ფართო და წესიერი მოწყობა ექიმობისა ოსების სოფლებში.
34. ჯარიმის ფულები, რომელიც შემოღებული იქმნა 1870 წლიდგან, სოფლის საზოგადოებათა გადაწყვეტით გამოირიცხოს საოლქო მმართველობის უწყებიდან და შეტანილი იქმნას სახელმწიფო ბანკში კავკავის ოლქის ოსების სახელობაზე,
35. გაუმჯობესებული იქმნას გზები ოსეთში, გაყვანილ იქმნას საურმე გზები იქ, სადაც არ არის და საჭიროება მოითხოვს.
36. მიეცეს უფლება მთიულ ოსებს თავისუფლად ისარგებლონ სახელმწიფო მიწებით.
37. მიეცეს უფლება მთის ოსებს თავისუფლად ისარგებლონ სახელმწიფო ტყის ნადელებით და სხ.

გენერალმა მიხაილოვმა ჯერ უარი სთქვა ზემოხსენებული მოთხოვნილების მიღებაზე, რადგანაც ამის მონდობილება მე არა მაქვსო. მაგრამ კრება დაჟინებით თხოულობდა და იმანაც აღუთქვა ნამესტნიკთან წარდგენა ხსენებულის მოთხოვნილებისა. ჩაჩნებმა მოითხოვეს, სხვათა შორის, რომ ისინი გამოცალკევებულ იქმნენ ცალკე ჩაჩნების ოლქად. მოითხოვეს აგრეთვე დაარსება სკოლებისა, იარაღის ტარების უფლების მიცემა, მიწად-მოქმედობის საკითხის გადაწყვეტა და სხ. ამ უკანასკნელი საკითხის შესახებ მიხაილოვმა უპასუხა, რომ მიწის მფლობელობის საკითხის გასარკვევად დანიშნულია კომისია, რომელიც შეუდგება თავის მეცადინეობას ზაფხულის გასულს.

ამით დასრულდა კრება, რომლის შემდეგ მიხაილოვი გაემგზავრა ნალჩიკისკენ სხვადასხვა ადგილებში სოფლის მცხოვრებთათვის გამოსაცხადებლად ხალხისაგან არჩეულ მამასახლისთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

კახაბერი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

6 ივლისი.

გოძიადანი, 5 ივლისი. „დეილი-ტელეგრაფის“ კორესპონდენტი 3 ივლისს იტყობინება დეპეშით ტოკიოდან, რომ მანჯურიაში მყოფ რუსების ჯარში გაჩნდა სახადი. ყოველ-დღე რამდენიმე ასი კაცი ავად ხდება და მათში 40% იხოცება. მე გადავსინჯე სასანიტარო ნაწილის უფროსთან მის გამგეობაში მოსული ყოველდღიური ცნობები, რომელიც სხვადასხვა საავადმყოფოდან მოსდის, და შემიძლია ვთქვა, რომ არაფერი—სახადი არ არის. ჯარში რომელიც რამდენისამე ასი ათას ჯარის კაცისაგან შესდგება, რამოდენიმე კაცი ავად რომ გახდეს, არაფერია აქ ახლა იმაზე ნაკლები ავადმყოფობაა, ვიდრე მშვიდობიანობის დროს და კაზარმებში. განსაკუთრებით პირველი არმია არის ჯანმრთელად. ჩინელები გვატყობინებენ, რომ მუკდენთან ჭირიანობა გაჩნდაო და იაპონელები მუკდენიდან წასვლას აპირებენო.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა 5 ივლისს შორეულ აღმოსავლეთიდან აქ არ მოსულა.

გუნჯულინი, 5 ივლისი. გუნჯულინის ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს განყოფილების მოსამსახურეებმა მთავარ-სარდალს მათ-მიერ შეგროვილი სამი ათასი მანათი გადასცეს ტყვის მტყორცნელების საყიდლად. დღეს ძლიერი წვიმა მოვიდა, რომელმაც მატარებლების მიმოსვლა რამდენიმე საათით შეაჩერა.

ტოკიო, 5 ივლისი. აქ ცნობა მოვიდა, რომ იაპონელებმა კორსაკოვკაში გადაიტანეს 125 მილზე სახელდახელო რკინის გზის ასაგებად საჭირო მასალა, აგრეთვე გადმოსხეს 3000 ჯარის კაცი. სახალინზე ამჟამად 14,000 იაპონელი ჯარის კაცია.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 5 ივლისი. ჟანდარმთა უფროსის მკვლელი სამხედრო სამართალში მისცეს.

პეტერბურგი, 5 ივლისი. პეტერბურგის და მოსკოვის ზოგიერთ გაზეთში გადაბეჭდილი იყო „რუსსკი ლისტოკიდან“ ცნობა კრონშტადტში გემ „იმპერატორ ალექსანდრე II“-ზე მეზღვაურებში მომხდარ არეულობაზე. სხვათა შორის, ეწერა, მეზღვაურებს გასცეს 16 მეთაური, რომელიც სამხედრო სატუსაღოებში დაწყვდეულია, აფიცრებმა მეზღვაურები ხელ-ახლად დააფიცესო. კრეისერი „მინინი“ მესამე ფორტების წინ სდგას და მას ნაბრძანები აქვს ადგილიდან არ დაიძრეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ზარბაზნი უნდა ესროლონო. „კოტლინის“ სიტყვით, ყველა ეს ცნობა თავიდან ბოლომდის ტყუილია, არავითარი არეულობა არ მომხდარა. ჯავშნოსანი გემი „იმპერატორი ალექსანდრე II“, რომელიც გავიდა ზღვაში 1 ივლისს, კრონშტადტიდან არსად არ წასულა, მისი მეზღვაურები მეორედ არავის დაუფიცებია, კრეისერი „მინინი“ მშვიდობიანად დგას რეიდთან და მაზე ყველაფერი წყნარად არის.

ორენბურგი, 4 ივლისი. სადგ. ბუზულუკთან სამგზავრო მატარებელი დაიმტვრა.

მოსკოვი, 4 ივლისი მოსკოვის უნივერსიტეტის 1000 სტუდენტში შემდეგ კურსზე გადაყვანის თხოვნა მხოლოდ 300 სტუდენტს შეუტანია.

სტამბოლი, 5 ივლისი. პრიზრენიდან მოსულ ცნობების თანახმად, ძველ სერბიაში სერბების მდგომარეობა თითქმის აუტანელი შეიქმნა. არნაუტები კრების მოწვევას აპირებენ სისხლის ძიების მოსასპობად და რომ შემდეგ საერთო ძალით მოსპონ სერბიის ხალხი ჯერ სერბების სოფელი დრაგოვაცი უნდა გაანადგურონ. აქაური გაზეთები ითხოვენ, რომ მთავრობამ არნაუტების საწინააღმდეგოდ სასტიკი ცნობები მიიღოს.

ლონდონი. დელკასეს განცხადება, რომ ინგლის საფრანგეთის მორიგებით მინდოდა რუსეთი და ინგლისი დამეახლოვებინაო, მსჯელობის საგნად გადაქცეულა. ერთმა წარჩინებულმა კაცმა, რომელიც მეფე ედუარდს კარგად იცნობს, აცნობა „პალ მალ-გაზეთის“ კორესპონდენტს, რომ, თუ რუსეთი და ინგლისი ჯერ კიდევ არ დაახლოვებულან, მაინც შესამჩნევი დამშვიდებული ურთიერთობა ეტყობათ. ეს გარემოება მეფე ედუარდის მოხერხებულ დიპლომატობის შედეგია; ის დარწმუნდა, რომ რუსეთის დასუსტება ევროპის განწყობილობას დაარღვევს. ვიტტეს უთქვამს ერთ ამერიკელ ჟურნალისტისათვის, რუსეთი ომს რამდენსამე წელიწადს განაგრძობს, თუ რომ მოთხოვნილებით მის პატივს შეეხნენო; ამ განცხადებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, მეტადრე იმ პირებზე, რომლებიც ფიქრობდნენ, ვითომც რუსეთი იძულებულია ზავი ჩამოაგდოს, რა პირობითაც უნდა იყოსო.

ლონდონი. ლორდ ნიუტონმა განაცხადა პალატაში, იმ რეფორმებმა, რომელიც მაკედონიაში შეიტანეს, ცოტაოდნად დასაკმაყოფილებელი შედეგი იქონიაო. ლორდ კრიუმ იკითხა, რა უნდა მოხდეს, თუ რომ ხონთქარმა მაკედონიის ფინანსების საერთაშორისო კონტროლი არ ინდომაო. ლანსდოუნმა უპასუხა, გადაწყვეტილია კონტროლისათვის საერთაშორისო კომისია დაარსდესო, რომელიც შემოსავალსაც და გასავალსაც თვალ-ყურს უნდა ადევნებდესო.

კიშინიოვი, 5 ივლისი. დღეს „ბესსარაბსკაია ჟიზნ“-ის რედაქციაში პანაშვიდი გადაიხადეს ჩეხოვის სულის მოსახსენებლად.

გოთა, 5 ივლ. პრინცი ფილიპ საქსენ-კობურგოტელი შუამდგომლობს ლანდსგერიხტის წინაშე, გააუქმეთ პრინცესსა ლუიზასთან ქორწინებაო.

ბერლინი, 5 ივლ. გაზეთების ცნობებით, მეფე ქრისტიანის საჩქაროდ დაბრუნებას კავშირი აქვს იმპერატორ ვილჰელმის მიერ დანიაში მისვლასთან. ჰგონებენ, გერმანიის ფლოტი კოპენჰაგენს მივაო.

ახალი ბუხარა. როგორც ისმის, მაკდონალდის ექსპედიციას სისტანში აზრადა აქვს გამოიკვლიოს გზა ავღანისტანის ტერრიტორიაზე, კვეტიდან კუშკამდე, ნასტრატაბადამდესაკენ. ამბობენ, ვითომ ამის შესახებ ემირთან შეთანხმება უკვე მომხდარიყოს.

პეტერბურგის ბირჟა, 5 ივლისი.

სამ-თვიან თამასუქების კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,80
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5,5—6,75
4% სახელმწიფო რენტა	84,62
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½ შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	79,75
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	406,5
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	305
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	265,5
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	10575

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.)

განცხადებანი

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ. (30—19)

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი,
შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 6 іюля 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.